წლიწადი მესამე — ფასი 10 კ. — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა 25 დეკემბერი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 49

## ჟურნალის შინაარსი

რა მოხდა ბათომში—**ყარიბი**; ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილება და მისი დაარსების წინასწარი პირობები—**ალ. ხელაძე**; ერთა ლიგის არაოფიციალური სახე—**კ. ჭეიშვილი**; საბჭოების გადარჩევისათვის—**ს. ელიაძე**; რა სურს ემიგრაციას—**ლეო შენგელაია**; რას გვავალებს თანამედროვე მომენტი—**ევტიხი ვადაჭკორია**; ვაჭრობის ძირითადი საკითხები—**„მოცელ"**; ყველაფერზე ძვირფასი—მოთხრობა—**როდიონ ქორქია**; ლენინის უბანი—**უმოლთელი**; კიდევ ოკრიბის მხარის გასაჭირზე—**ლ. კუპრაშვილი**.

# რა მოხდა ბათომში

I.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობა ჯერ კიდევ თბილისში იყო, როცა მას ოსმალეთმა ულტიმატუმი წამოუყენა:

ბათომის ოლქი და ახალქალაქ-ახალციხის მაზრები გადმოგვეცით, და თუ არ გადმოგვცემთ, ძალით წავიღებო.

საქართველოს მთავრობას მეტი რა ჯანი ჰქონდა: მან ეს წინადადება პრინციპიალურად მიიღო, მხოლოდ ვაჭრობა დაუწყო: მოთხოვნილება მეტის - მეტია, ცოტა რამე დაგვიკელიო.

შეთანხმდენ:

ოსმალეთს გადაეცა ახალქალაქის მაზრა, ახალციხის მაზრის დიდი ნაწილი, ართვინის ოლქი მთლიანად და ბათომის ოლქის ნაწილი.

საქართველოს დარჩა ქ. ბათომი და ბათომის ოლქის ნაწილი.

ეს იყო დემოკრატიული მთავრობის თბილისიდან გაქცევამდე.

სურამის უღელტეხილზე გადასვლის შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდება: დემოკრატიულ მთავრობას არა თუ თბილისში დაბრუნების იმედი არა აქვს, მას არაფრის იმედი არა აქვს. ის მხოლოდ იმის ფიქრშია, რომ სულ ცოტა დროებით, ერთი - ორი კვირის განმავლობაში მაინც გამაგრდეს ბათომის ოლქის იმ ნაწილში, რომელიც მის ხელშია.

მერე? მერე, ღმერთი მოწყალეა. ასეთი დროს განმავლობაში კი,—როგორც ჩვენში იტყვიან,—ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი.

ასეთი დიდი დროს განმავლობაში, ალბათ, რაიმე სასწაული მოხდება: კომუნისტები ან კრონშტადში მოიტეხენ კისერს, ან პოლონეთთან ომს წააგებენ.

მართალია, დემოკრატიულ მთავრობას არც ერთი და არც მეორე მოლოდინისთვის არავითარი რეალური საბუთი არ მოეპოებოდა: მას არ ჰქონდა ასე თუ ისე სწორი ინფორმაცია, მან არ იცოდა მტრის მდგომარეობა. მისი ინფორმაცია, უმთავრესად, მისივე მოგონილი ჭორები იყო, როგორც მაგალითად: წითელი მხედრობას აჯანყება და მის მიერ კომუნისტების ამოჟლეტა, ჩვენი მოსაზღვრე ყუბანისა და დონის ოლქების ყაზახების აჯანყება და წითელ ლაშქრებზე მათი გამარჯვება და სხვა ასეთები...

მართალია, ყოველივე ეს რამიშვილის სააგენტოს მიერ შეთითხნილი ჭორები იყო, რომელსაც იმ დროს ხმარობდენ ხალხში ფსიქოლოგიური გადატეხის მოსახდენად, დაცემულობისა და უიმედობის ფსიქოლოგიის „მეომარ" ფსიქოლოგიათ გადასაქცევათ...

მაგრამ აქ რამიშვილსა და მის ამხანაგებს მოუვიდათ ის, რაც მოუვიდა ერთ ჭკვიან მოლას, რომელმაც მეზობლების მოსატყუებლად ხმა დაჰყარა: მოედანზე ფლავს არიგებენო... როცა ყველა ჯამ-ჭურჭლით ფლავის მისაღებად მოედნისაკენ გაიქცა, მოლამ იფიქრა: იქნება მართლა არიგებენო. მოატანა ხელი ბარქაშას და მოედანისაკენ მოკურცხლა...

რამიშვილმა და მისმა აგენტებმა იმდენი წერეს და ილაპარაკეს კომუნისტების დასასრულის მოახლოების შესახებ, რომ მათ არა თუ ქართველი საზოგადოების გულუბრყვილო ნაწილი დააჯერეს ამაში, თვითონაც დაიჯერეს ეს მათ მიერვე მოჭორებული ტყუილი და თავისი პოლიტიკაც მასზე დაამყარეს.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მოღვაწეობაში ყოველთვის გამოსჭვივოდა ფატალიზმი, მას ყოველთვის ჰქონდა სასწაულის იმედი და თავის ასეთ ბუნებას ახლაც არ ღალატობდა...

მაგრამ, როცა მათ შეხედეს, რომ სასწაულმა დაიგვიანა, რომ კომუნისტები არა თუ არ იღუპებიან, ისინი, როგორც ევროპის სახელმწიფოების აქაური წარმომადგენლებისაგან აქ კანტი - კუნტად გაიგეს, კიდეც იმარჯვებენ ყველა ფრონტებზე და პოლონეთი უკვე დაძლეულია, მათ თავი დაკარგეს და ოსმალეთის „საფარველ ქვეშ" შესვლა დააპირეს.

და ერთ ნაკიანსა და ჟორდანიას მთავრობისათვის უაღრესად სამარცხვინო დღეს ბათომისა და ბათომის

ოლქის გენერალ - გუბერნატორი გრ. გიორგაძე იღებს ასეთ დეპეშას:

ამით გეუწყებათ, რომ ოსმალები, როგორც ჩვენი მეგობრები, მოახდენენ ბათომის ოლქის სამხედრო ოკუპაციას იმ პირობით, რომ ამ ოლქში სამოქალაქო მართვა-გამგეობა იქნება ჩვენს ხელში, ხოლო სამხედრო — ოსმალეთის ჯარის სარდლობის ხელში. გევალებათ: ხელი შეუწყოთ ოსმალეთის ჯარების შემოსვლას ოლქში და ქალაქში გრუზოვიკებით, პურით და სხვით, რაც მათთვის საჭირო იქნება.

შინაგან საქმეთა მინისტრი რამიშვილი.

გრ. გიორგაძეს არ შეიძლებოდა არ ცოდნოდა, რომ იქ სადაც სამხედრო ოკუპაციას აქვს ადგილი, სამოქალაქო მართვა - გამგეობაზე ლაპარაკი შეუძლებელია;— მაგრამ მას მეტი რა ჯანი ჰქონდა, თავის მთავრობას უნდა დამორჩილებოდა და ოსმალეთის ჯარებისთვის ნაბრძანები დახმარება გაეწია.

ბათომში ოსმალეთის ჯარის ნაწილი,—როგორც ამბობდენ, 400 კაცის რაოდენობით,—შემოვიდა 14 თუ 15 მარტს, საღამოს 4—5 საათზე...

ასკერებს აღტაცებით შეხვდენ ბათომელი ქართველი მუსულმანები. მათ აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

სამაგიეროთ, ასკერების შემოსვლამ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველებზე. თვით ის ნაციონალ-დემოკრატები, რომლებიც გახარებული იყვნენ თათრების მოლოდინით და რომლებიც ამაზე რაღაც იმედებსაც კი ამყარებდენ, სასოწარკვეთილებას მიეცენ. ამ დროს ბათომში ვერ შეხვდებოდით ისეთ ქართველს, რომელსაც აშკარად არ ეგრძნო თავისი უბედურება და რომელსაც ეს გრძნობა აშკარად არ გამოეთქვა...

ცხადი იყო, რომ ქართველ ხალხში იფეთქა ოსმალეთისადმი ძველმა, ასიოდე, წლის წინად ჩამქრალმა, მონობის შიშმა; მასში გაიღვიძა ისტორიულმა გრძნობამ, საუკუნეთა განმავლობაში განცდილმა მონობის გრძნობამ...

ასტყდა ყვირილი, ასტყდა ტირილი:

— არ გვინდა თათარი! მოვიდენ, ბატონო, ეს რუსები. ეს ხომ ჩვენთვის ახალი ამბავი არ არის? რას სჩადიხართ? რათ ღალატობთ ქვეყანას? სოციალისტებათ თავი გამოგაქვთ და იმავე დროს სოციალისტების წინაამდეგ ქვეყანას თათრებს აძლევთო...

ყველა ასე ამბობდა. არა, კი არ ამბობდა, ყვიროდა...

როგორც მოსალოდნელი იყო, ქ. ბათომისა და ბათომის ოლქის ოსმალეთის ჯარების მიერ მშვიდობიანმა ოკუპაციამ კიდევ უფრო გაურთულა და გაუფუჭა საქმე დემოკრატიულ მთავრობას, რომელსაც თავისი ასეთი პოლიტიკური ნაბიჯით სურდა ერთხელ კიდევ მოეხმარა 1918 წელს ნაცადი ხერხი.

1918 წელს საქართველოს მთავრობამ, როგორც ვიცით, საქართველოს ნემცების ჯარების მიერ მშვიდობიანი ოკუპაციის საშუალებით იხსნა საქართველო ოსმალეთის ჯარების მიერ ძალით ოკუპაციის წინააღმდეგ. ახლა, 1921 წელს, იგივე დემოკრატიული მთავრობა ოსმალეთს უთმობს საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილს, თვითონ ეხმარება საქართველოს ოკუპაციის საქმეში და კომუნისტების წინააღმდეგ ამ ფაქტის გამოყენებას ფიქრობს.

მაგრამ თუ 1918 წელს საქართველოს მთავრობის ასეთმა პოლიტიკამ, თუმცა სრულიად შემთხვევით, მაგრამ მაინც თავისი ნაყოფი მოიტანა და საქართველოს ოსმალეთის ოკუპაცია ააშორა, 1921 წელს. იგივე პოლიტიკა ოსმალეთთან სრულიად უვარგისი გამოდგა. ოსმალეთმა, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, არ გაუმართლა საქართველოს მთავრობას თავის დანაპირები. ოსმალების ჯარის სარდლობამ, ბათომში შემოსვლისთანავე დაპყრობილი ადგილების ნამდვილი ბატონობა მოიპოვა.

ბათომში და ბათომის ოლქში ოსმალეთის ჯარის სარდლობამ იმითი დაიწყო თავისი მოქმედება, რომ დემოკრატიულ მთავრობას ციხის ძირში თხრილებისა და ტრანშეების კეთება აუკრძალა: ბათომი და მისი ოლქი ოსმალეთის საკუთრებაა და ის თავის ტერიტორიაზე გარეშე სახელმწიფოს ომის წარმოების ნებას არ მისცემსო.

ანგორამ ამაზე ადრე შესწყვიტა ყოველგვარი კავშირი საქართველოს მთავრობასთან, ასე რომ დემოკრატიულ მთავრობას ყოველგვარი საშუალება წაერთო ანგორაში თავის წარმომადგენელ სოსო მდივანთან მოლაპაარკებისა...

ჟორდანია-რამიშვილს სურდათ ანგორაში მათი წარმომადგენლისთვის დაევალებიათ: ანგორის მთავრობას გადაეცი, რომ მისი ბათომელი წარმომადგენელი დახმარების მაგიერად ხელს გვიშლისო. მაგრამ მათ ამის საშუალება არ მისცეს.

აშკარა იყო, რომ ანგორის წარმომადგენელი ბათომში მოქმედებდა თავისი ცენტრალური ხელისუფლების დირექტივების მიხედვით, რომ ანგორის მთავრობას, რომელმაც თავისი დიდი პლანი ასე ადვილად განხორციელა, არავითარი სურვილი არა ჰქონდა ჟორდანიას მთავრობასთან ლაპარაკისა... ამიტომაც იყო, რომ „წახდა“ ანგორისა და ბათომს შუა პირდაპირი მოლაპარაკების საშუალება.

იქვე არ იყო, რომ ამ შემთხვევაში ანგორა იქცეოდა ისე, როგორც მოიქცა ნ. რამიშვილი 1918 წელს, დაშნაკელების სომხეთთან ომის დროს, როცა დამარცხებული დაშნაკელები რადიოთი იხვეწებოდენ საზავო ხელშეკრულება დავდოთო და რამიშვილი კი, იმ იმედით, რომ მალე ქართველი ლაშქარი ალექსანდროპოლს დაიპყრობსო, პასუხს არ აძლევდა:

— რა ვქნათ? თბილისის რადიო უამინდობის გამო, სომხეთიდან ცნობებს არ ღებულობსო...

სწორეთ ასე, რამიშვილურად, იქცეოდა ანგორის მთავრობაც... ამას ხედავდა ყველა. ეს უნდა გაეგოთ დემოკრატიული მთავრობის დიპლომატებსაც, მაგრამ ეს ვერ გაიგო მოქ. ევგენი გეგეჭკორმა, რომელმაც გარეშე საქმეთა სამინისტროს მდივანი ორთქლმავალი ნავით გაგზავნა ხოფაში: იქნება იქედან მაინც მივაწვდინოთ ხმა ანგორაში საქართველოს წარმომადგენელსო.

ბათომში ასკერების შემოსვლის მეორე დღესვე ოსმალეთის წარმომადგენელმა კიაზიმ-ბეიმ მოითხოვა: ქართველ მხედრობას იარაღი აყარეთ და ჩემს სარდლობას ჩააბარეთო. ამ წინადადებით ბათომისა და ბათომის ოლქის გენ.-გუბერნატორ გრ. გიორგაძესთან გამოცხადდა ვიღაც პოლკოვნიკი, რომელმაც თავის თავს ანგორიდან გამოგზავნილი საოკუპაციო ჯარების სარდალი უწოდა...

დემოკრატიული მთავრობის გენერალ - გუბერნატორმა მას უარით უპასუხა.

ამის შემდეგ კიაზიმ-ბეიმ ყოველგვარი კავშირი შესწყვიტა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის აგრეთწოდებულ „სამოქალაქო მართვა-გამგეობასთან“. და 17 მარტს მის გენ.-გუბერნატორს გამოუგზავნა რვა მუხლიდან შემდგარი „ბრძანება“, რომლის პირველ მუხლსაც ჩვენ აქვე მოვიყვანთ.

აი ეს მუხლი:

„უკანასკნელ დროს, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ბათომის ოლქი, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები დაჭერილი იქნენ (были оккупированы) ჩვენი ჯარების მიერ. ოსმალეთის დიდი ნაციონალური კრების მთავრობის დადგენილებით, რომელიც დამყარებულია ჩვენს ნაციონალურ უფლებებზე, რაც მრავალჯერ იყო დამტკიცებული სხვადასხვა დროინდელი ხელშეკრულებებით, ეს ოლქები დღეიდან უბრუნდება თავის დედა—სამშობლოს და, როგორც პოლიტიკურად, ისე ადმინისტრატიულად, ექვემდებარება ოსმალეთის ნაციონალურ მთავრობას“.

ამ „ბრძანებამ“ თავზარი დასცა დემოკრატიულ მთავრობას. დიდხანს ათვალიერებდენ ამ დოკუმენტს ეგრეთწოდებული „თავდაცვის კომიტეტის“ ყველა წევრები... და როცა მის შესახებ ვიღაცამ ლაპარაკი დააპირა,

ჟორდანიამ მას ლაპარაკი შეაწყვეტია, ზეზე წამოდგა და სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა:

— ამ საკითხის გადაწყვეტა მაინც დამაცალეთ!

ამის შემდეგ მოჰკიდა ხელი გენერალ კვინიტაძეს (ქართველი ჯარების მთავარსარდალს) და თავისთან წაიყვანა. არ გასულა ორი-სამი მინუტი, რომ ის გამოვიდა და ბრძანების კილოთი ასეთი განკარგულება მოახდინა:

— ახლავე, დაუყონებლივ, გაგზავნეთ ცარიელი ვაგონები ორთქლმავალებით სამტრედიისაკენ. დაუყონებლივ შემოიყვანეთ ბოლშევიკების წითელი ლაშქარი. მათ დაუყონებლივ უნდა დაიჭირონ ქ. ბათომი და ბათომის ოლქი.

დეე იყოს საქართველო კომუნისტური, მხოლოდ მთლიანი კი იყოს!

ეს იყო 17 მარტს, ღამით. ხოლო 18 მარტს, შუადღიდან უკვე დაიწყო ბათომში წითელი ლაშქრის ეშელონების შემოსვლა... შემოდიოდენ მუსიკითა და სიმღერით და ხალხიც აღტაცებით ხვდებოდა, როგორც მხსნელებს, როგორც საუკეთესო მეგობრებს.

ხალხი აღტაცებული იყო კომუნისტების ლაშქარის დანახვაზე. მაგრამ ასევე აღტაცებული იყო ამ აქტით თვით ნოე ჟორდანიაც. როცა მას ამის შესახებ ამხ. გიორგაძემ მოხსენება გაუკეთა, ჟორდანიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— ეს რომ ასე არ მომხდარიყო, ჩვენ ევროპაში თავს ვერ გამოვყოფდითო,—თქვა მან და გიორგაძეს დაავალა:

— ახლავე ეს ამბავი შეატყობინე იტალიის წარმომადგენელს — ჩარუტის. სულ ნახევარი საათის წინ აქ გემზე ამოვიდა კიაზიმ-ბეის ადიუტანტი და ჩარუტის განუცხადა: ოსმალეთის საოკუპაციო ჯარებმა ქართველ ლაშქარს იარაღი აყარესო. ჩარუტიმ ამის შესახებ დეპეშა გაუგზავნა თავის მთავრობას. შეატყობინეთ მას ეს ამბავი და სთხოვეთ დაჩქარებით გაასწოროს თავის პირველი დეპეშაო.

ასეთი იყო ნ. ჟორდანიას უკანასკნელი განკარგულება და სიტყვები ბათომში:

როგორც ხედავთ, აქ კომუნისტებსა და მათ წითელ ლაშქარს არ უთამაშნიათ ოკუპანტების როლი. სრულიად პირიქით, ეს ლაშქარი თვითონ მოუწვევია ჟორდანიას მთავრობას, როგორც დამხმარე, როგორც მეგობარი ძალა მის მიერ მოწვეული ოსმალეთის საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ, მოუწვევია საქართველოს **მთლიანობის აღსადგენად**, ქართველი ხალხის დასაცველად.

მაშასადამე საიდან და როგორ წარმოიშვა ლეგენდა კომუნისტების წითელი ლაშქრის მიერ ბათომისა და ბათომის ოლქის ოკუპაციის შესახებ?

ამაზე შემდეგ.

**ყარიბი.**

# ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილება და მისი დაარსების წინასწარი პირობები

## VII.

ჩვენ ვრცლად შევეხეთ „მუშათა კომისიის" წარმოშობის მიზნებს. ჩვენ აღვნუსხეთ მისი სამოქმედო პროგრამა და მუშაობის მიღწევები, მაგრამ მუშათა კომისიამ უკვე დაასრულა თავისი მუშაობა 1925 წ. ოქტომბერში. ამ თვის 9—12 რიცხვს მოხდა სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა კონფერენცია, რომელზედაც დაისვა „მუშათა კომისიის" ლიკვიდაციის საკითხი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, დაისვა საკითხი ამ ორგანიზაციის მაგიერ უფრო მოძრავი და ელასტიური ორგანიზაციის შექმნისა, რომელიც შევიდოდა რა კომუნისტური პარტიის სისტემაში, უფრო ადვილად და მოხერხებულად გაატარებდა ცხოვრებაში იმ პროგრამას, რომელიც „მუშათა კომისიამ" დაისახა თავის მოქმედების საგნად.

ამ კონფერენციამ საჭიროდ დაინახა შექმნა ახალი სტრუქტურის ორგანიზაცია, რომელიც უნდა გაძღოლოდა საბჭოთა პლატფორმაზე შემდგარ ყოფილ მენშევიკთა მასებს, ცდილიყო მათში მოეხდინა ერთგვარი იდეოლოგიური და ფსიხოლოგიური გარდატეხა საბჭოთა წყობილების სასარგებლოდ. ერთი სიტყვით უნდა შექმნილიყო ორგანიზაცია, რომელიც შესძლებდა ყოფილ მენშევიკთა აქტივის საბჭოთა სახელმწიფოებრივ გზაზე დაყენებას და ამ აქტივის უფრო აქტიურ ელემენტებს შეიყვანდა კომუნისტურ პარტიის რიგებში.

ამ ახალი ორგანიზაციის აზრსა და შინაარს საუკეთესოთ ახასიათებს კომპარტიის ცეკას წარმომადგენელი თავის სიტყვაში, რომლითაც ის ამ კონფერენციაზე გამოვიდა:

„ამ ჟამად ჩვენს წინაშე სდგას საკითხი: გამოვნახოთ ისეთი ორგანიზაციული ფორმა, რომლის საშუალებით შეგვიძლია ამ თერთმეტი ათასი კაცის თანდათანობითი ჩაბმა კულტურულ- ეკონომიურ და პოლიტიკურ საქმიანობაში. ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც ამ ჟამად არსებულ გაორებულ ორგანიზაციის ლიკვიდაციას მოვახდენთ და ამ ხალხს ერთი მთლიან ორგანიზაციის ქვეშ დავაყენებთ. ჩვენი პარტიის სტრუქტურაში არიან ასეთი განყოფილებანი. ერთ-ერთ გნყოფილების ორგანიზაციულ სქემას უნდა დაემატოს ერთი განყოფილება, რომელიც განაგრძობს თქვენს მუშაობას... სანამ იმ ძალებს, რომელიც ჩვენ გვებრძვიან, არ გამოეცლება ეკონომიური საფუძველი, მანამ ჩემის აზრით, საჭირო იქნება ამ განყოფილების მუშაობა".

აქ მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ „მუშათა კომისია" თავისი სამაზრო და სარაიონო რწმუნებულებით მართლაც ქმნიდენ ერთნაირ გაორებას. პროლეტარული—კომუნისტური პარტია თვით აწარმოებს პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობას უპარტიო მასებში. ის თვითონ წრთვნის მასებს და უნერგავს მათ კომუნისტურ მსოფლმხედველობას. ამიტომაც ყოფ. მენშ. მასების იდეური გაძღოლა, მათი სახელმწიფო აღმშენებლობაში ჩაბმა, მათში პოლიტიკური გარდატეხის მოხდენა უნდა თავს ედო თითონ კომინისტურ პარტიას და ეს ასეც მოხდა. ზემოთ დასახელებულმა კონფერეიციამ მიიღო დადგენილება, რომელშიაც კატეგორიულად განაცხადა ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების დაარსება და ამ განყოფილების პარტიის ცეკას სისტემაში შესვლა. ცეკას სათანადო განყოფილებამ უშუალოდ უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა ახლად დაარსებულ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილებას.

სწორედ ამ ორი წლის წინეთ, მართლაც დაარსდა ასეთი განყოფილება, რომელიც აწარმოებს იდეურ მუშაობას უმთავრესად ყოფ. მენშევიკთა შორის და აგრეთვე სხვა ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიების ყოფილ წევრებს შორისაც.

ორ წელიწადზე მეტია რაც განყოფილება არსებობს, რაც ის ეწევა სისტემატიურ მუშაობას ყოფილ მენშევიკთა მასებში. რა შეადგენს განყოფილების მუშაობის უმთავრეს მიზანს?

მის მიზანს შეადგენს იდეურ-პოლიტიკური ბრძოლა მებძოლ მენშევიზმთან და მისი სამუდამოდ დამარცხება... თუ რა არის ეს მებრძოლი მენშევიზმი, რა მიზნებს ისახავს იგი, ამაზე ჩვენ აქ ბევრს არ ვილაპარაკებთ, ვინაიდან დღეს ქართველმა მშრომელმა მასებმა კარგად იციან რა მიზანს ისახავენ საქართველოში, მებრძოლი მენშევიზმის მეთაურები: ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილი.

ისინი ებრძვიან საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას ყოველგვარი საშუალებით: პროპაგანდა-აგიტაციით შეიარაღებული გამოსვლებით, იმპერიალისტური ინტერვენციით. მათი ბრძოლის მეთოდი მრავალგვარი და მრავალფეროვანია; ისინი მუდამ ცდილობენ სამოქალაქო ომის ცეცხლის დანთებას. 1924 წლის აგვისტოს დღეებში მათ შესძლეს საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ამ ცეცხლის დანთება. ისინი მოუწოდებენ ქართველ ერს, მის მშრომელ მოსახლეობას იარაღით ებრძოლონ კომუნისტურ მთავრობას. ამ მიზნის განსახორციელებლად ისინი შიგ, საქართველოს ფარგლებში აკავშირებენ და რაზმავენ ქართველ კონტრრევოლიუციონერებს, რეაქციონულ წრეებს. მაგრამ მარტო ამითაც არ კმაყოფილდებიან. ისინი საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დაცემას უკავშირებენ საგარეო გართულებას და ომებს. ასეთ გართულების დროს კი ურჩევენ ქართველ ხალხს უღალატოს თავის საკუთარ, კომუნისტურ ხელისუფლებას, მიემხროს მოსისხლე მტრებს და მახვილი ჩასცენ თავის ქვეყანას.

ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა ფასი აქვს ასეთ ავანტიურისტულ ქადაგებას მშრომელ საქართველოს თვალში, მით უმეტეს 1924 წლის აგვისტოს ავანტიურის შემდეგ, მაგრამ დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ მათ ბოროტ სისინს დღეს ქართველ ხალხში გასავალი არა აქვს, მაგრამ წარსულში კი მათ უდიდესი ზიანი მოუტანეს ხალხს; 1924 წლის აგვისტოს ავანტიურა ღვიძლი შვილი იყო მათი ბოროტ სისინისა...

იმედი საგარეო გართულებაზე, ორიენტაცია იმპერიალისტურ ინტერვენციაზე დამოუკიდებელ საქართველოს რესტავრაციის მიზნით—აი ის ხაზი, რომლითაც მიდის მებრძოლი მენშევიზმი.

როგორ დამოუკიდებლობას მისცემს იმპერიალიზმი საქართველოს—ეს ყველამ კარგად იცის. სამი წლის მენშევიკურმა საქართველომ, უკვე დაგვანახვა ამ დამოუკიდებლობის სრული სურათი.

აი, ამ მებრძოლ, გადაშენაკებულ მენშევიზმს, ენერგიულად და დაუზოგველად ებრძვის ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილება, იგი ებრძვის „მებრძოლ მენშევიზმს“, როგორც ავანტიურისტულ, ანტისოციალისტურ ორგანიზაციას, ებრძვის როგორც იმპერიალისტური ევროპის აგენტურას, ებრძვის როგორც იდეურ მეთაურს საქართველოს შინაური რეაქციონური ძალებისა, როგორც წვრილ - ბურჟუაზიულ რეაქციონურ სოციზალიზმის წარმომადგენელ ძალას...

განყოფილება ებრძვის აგრეთვე ეგრედ წოდებულ **ლეგალურ მენშევიზმს.** „მბრეძოლი“ და ლეგალური მენშევიზმი—ორივე მენშევიზმია, ორივე მიზნათ ისახავს პროლეტარიატის დიქტატურის დაცემას, კომუნისტური ხელისუფლების განადგურებას. მათ შორის განსხვავება მხოლოდ მეთოდებშია. იმ დროს, როდესაც ჟორდანია-რამიშვილი და საერთოდ ქართვ. ემიგრაციის ლიდერები ინტერვენციას ეყრდნობიან კომუნისტური ხელისუფლების მოსასპობად, ლეგალურ მენშევიზმს არა სჯერა იმპერიალისტების ყოვლად შემძლებლობა. მათ, ლეგალურ მენშევიკებს არც ისა სჯერათ, რომ იმპერიალისტები საქართველოსთვის საბჭოთა კავშირთან კონფლიქტის ჩამოგდებას მოისურვებენ. რადგან საბჭ. სოც. რესპ. კავშირი იურიდიულად ცნობილია ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოების მიერ, ლეგალური მენშევიკების აზრით საქართველოს საკითხი უნდა მოხსნილი იქნეს საერთაშორისო სფეროდან და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა გადატანილ იქნას ს. ს. რ. კ-ის საზღვრებში და ამ ბრძოლაში სავსებით უნდა იქნას გამოყენებული საბჭოთა კონსტიტუცია. ლეგალური მენშევიზმი ბოლშევიზმთან ბრძოლას ფიქრობს არა აჯანყებით, არა ომის განახლებით, არა პოლიტიკური დემონსტრაციებით, არამედ ლიტერატურული და იდეიური ბრძოლით. ლეგალური მენშევიზმი საერთოთ წინააღმდეგია მებრძოლი მენშევიზმის ურა-ტაქტიკისა. ის მომხრეა „ლოიალური“ დამოკიდებულებისა საბჭოთა ხელისუფლებასთან. ეს „ლოიალობა“ რასაკვირველია, არის ლეგალური მენშევიზმის ტაქტიკური მანევრი, ხელისუფლების თვალის ახვევის სურვილი და არა გულწრფელი სურვილი საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალური თანამშრომლობისა...

„ლეგალური მენშევიზმი“ თითქოს კიდეც იცავს საბჭოთა კონსტიტუციას, ქადაგობს მის გამოყენებას თავის მიზნების მისაღწევათ, ხოლო მას ავიწყდება, რომ საბჭოთა კონსტიტუცია, როგორც კლასიურ დიქტატურაზე აშენებული სახელმწიფო მართვა - გამგეობა, ლეგალურ მოწინააღმდეგესაც ვერ მოითმენს, რადგან ლეგალური მტერი და არა ლეგალური მტერი ორივე მოწინააღმდეგე ძალაა, და, როგორც ასეთი, მიუღებელია მებრძოლი პროლეტარიატისათვის. ლეგალური მენშევიზმი, სდგას რა ორივე ფეხებით საბჭოთა კონსტიტუციის ნიადაგზე (ვითომდა უყვარს მას ეს კონსტიტუცია), ქადაგებს ყოველივე შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებას საბჭოთა სხვადასხვა დაწესებულებებში მუშაობის დროს.

მაგრამ ლეგალური მენშევიზმი არ კმაყოფილდება მარტო ლეგალური მუშაობით, საბჭოთა კონსტიტუციის გამოყენების შესაძლებლობით, ლეგალურ მუშაობასთან ერთად მას საჭიროდ მიაჩნია არალეგალური მენშევიკური ორგანიზაციების არსებობა, თუმცა მცირე რიცხოვანის, მაგრამ ისეთის, რომელიც აწარმოებს უმთავრესად სალიტერატურო და პოლიტიკურ მუშაობას და თანაც ანვითარებს საბჭოთა წყობილების პრინციპიალურ კრიტიკას. მაშინ, როცა მებრძოლ მენშევიზმს ცნობილი მეთაურები ყავს, „ლეგალურ მენშევიზმს“ არ მოეპოებიან ასეთი მეთაურები. მხოლოდ ამ მიმდინარეობას მხარს უჭერენ ზოგიერთი ყოფილი ლიდერები, ისინი, რომლებსაც ამხ. მიხა კახიანმა „შინაური ემიგრანტები“ უწოდა. იმავე „ლოიალიზმით“ არის დაავადებული აგრეთვე ზოგიერთი ცნობილი ემიგრანტი მენშევიკები და აგრეთვე გადასახლებაში მყოფი მენშევიზმის ლიდერები გ. ლორთქიფანიძის მეთაურობით.

ჩვენ აქ საკმაოდ შევჩერდით ლეგალურ მენშევიზმზე და ეს იმიტომ, რომ ეს ახალი მენშევიკური წრეების შეხედულება არსებითად არის შეგუების პოლიტიკა. ეს პოლიტიკა მენშევიკურ პარტიის ცხოვრებაში არ ახალია, ძველია. ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროს, როცა ფეოდალური და ბიუროკრატიული რეაქცია საშინელი სიმწვავით ანადგურებდა ყოველივე რევოლიუციონურსა და პროგრესიულს, მენშევიზმი, — უმთავრესად რუსული მენშევიზმი — ვერ უძლებდა ამ რეაქციის პრესს; და ამიტომ მოახდინა მან არალეგალური აპარატების და არალეგალური მუშაობის ლიკვიდაცია და ლეგალური აპარეზის გამოყენებას შეუდგა. ლეგალურ მენშევიკებს, ალბად გაახსენდათ ეს ნეტარხსენებული დრო თავის წარსულ ოპორტიუნისტული მოღვაწეობისა და ალბად სურთ ეს ძველი „ლეგალიზმი“ ახალ სამოსელში გამოწყობილი, ფერ-უმარილით შელამაზებული კონტრაბანდით შემოაპარონ კომუნისტებს...

მაგრამ ლეგალური მენშევიზმი სასტიკად სცდება; მას აქვს საქმე არა თვითმპყრობელობასთან, არა ფეოდალებთან და კაპიტალისტ-მრეწველებთან, არა უმაღლეს სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატებთან, არამედ კომუნისტურ — მასიურ პარტიასთან, საბჭოთა ხელისუფლებასთან. ამიტომ, ლეგალური მენშევიზმის შეგუების პოლიტიკა, მისი საბჭოთა კონსტიტუციის ნიადაგზე დგომა და ამ ნიადაგის თავის მიზნებისათვის გამოყენება, რასაკვირველია, მხოლოდ მენშევიზმის ტკბილი ოცნებაა...

საბჭოთა წყობილების სინამდვილეში, პროლეტარული დიქტატურის დროს, მენშევიკური პარტია, რა სახითაც არ უნდა არსებობდეს იგი, მიუღებელია რევოლიუციონური პროლეტარიატისთვის, ვინაიდან მენშევზმი, როგორც გარკვეული მსოფლმხედველობა, როგორც ჩამოყალიბებული „სოციალისტური“ სისტემა, თავის არსებითა და შინაგანი ბუნებით, არის სოციალური რეაქციის ანარეკლი, მისი აშკარა გამოხატულება.

რას ასწავლის მუშათა კლასს მენშევიზმი? **მოთმი**

ნებას, იდეურ - პოლიტიკურ და კულტურულ კაპიტულიაციას ბურჟუაზიულ სამყაროს წინაშე. მენშევიზმის შეხედულებით, ბურჟუაზიულ - კაპიტალისტური ეკონომიკა ჯერ კიდევ პროგრესიული და რევოლიუციონური ფაქტორია კაცობირობის ისტორიის განვითარებაში. თვით ბურჟუაზიული საზოგადოება თავის კულტურით, თავის რთული ტეხნიკური ორგანიზაციით, სკოლაა პროლეტარიატისათვის. მენშევიზმი პარლამენტარიზმით სცდილობს სოციალურ რეფორმების გატარებას; ამ რეფორმებით ის სჭრის სოციალურ პრობლემას. მენშევიზმი ორივე ფეხებით სდგას ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ კონსტიტ. ნიადაგზე და ამ კონსტიტუციით სცდილობს პროლეტარიატის „სოციალიზმის სამეფოში“ შეყვანას. მენშევიზმს არ სჯერა, რომ კაპიტალიზმი უკვე გადაიქცა კონსერვატორულ, რეაქციონურ წყობილებათ და როგორც ასეთი, ის არა თუ არ წარმოადგენს რაიმე ღირებულებას მატერიალური და სულიერი კულტურის სფეროში, არამედ პირიქით იგი დღეს წინ ეღობება ყოველვე იმას, რასაც წინსვლისა და პროგრესის დაღი აზის. მენშევიზმს არ სჯერა, რომ კაპიტალიზმმა ამოსწურა თავისი პროგრესიული ყოვლად შემძლეობა და იქცა უაღრესად რეაქციონურ ძალათ. დღეს კაპიტალიზმი უკვე გადაიქცა რეგრესიულ მოვლენად.

ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილება სასტიკად ებრძვის, როგორც მებრძოლ მენშევიზმს, ისე ლეგალურ მენშევიზმს. მებრძოლი და ლეგალური მენშევიზმი ორი სხვადასხვა სახეა ერთი და იმავე არსებისა. პოლიტიკურად და იდეურად დამარცხებული მებრძოლი მენშევიზმი აშკარად იხევს თავის პოზიციიდგან და ახალი გზით ცდილობს ბრძოლის წარმეობას რევოლიუციონური მარქსიზმისა და ლენინიზმის წინაალმდეგ.

ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილება და მისი ორგნო „ახალი გზა“ სდგას რა შეურიგებელ პოზიციაზე ითთავე მენშევიზმისადმი, ანხორციელებს „მუშათა კომისიის“ მიერ მოცემულ სამოქმედო გეგმას და საქვეყნოდ აცხადებს: საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება არის ხელისუფლება ნაციონალური. ეს ხელისუფლება ქმნის ეროვნულს, მატერიალურსა და სულიერ კულტურას. ამის უარყოფა ყოვლდა შეუძლებელია და ამიტომ არის, რომ მას გვერდში უდგას არა მარტო ქართველი მუშები და გლეხები, არამედ მასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული თანამშრომლობენ სრულიად უპარტიო მეცხიერული და ტეხნიკური ინტელიგენცია... რაც შეეხება ქართულ იდეოლოგიურ ინტელიგენციას, ქართულ პოლიტიკურ და ლიტერატურულ მოღვაწეებს, როგორც სოციალისტურს, ისე არა სოციალისტურს, ეს ფენები 1924 წლამდე გაჟღენთილი იყვენ მენშევიკური სულით, მაგრამ ამ დროიდან მათში მოხდა რადიკალური გადატეხა და ისინიც აშკარად და გარკვეულად დადგენ საბჭოთა პლატფორმაზე და დღეს ხელისუფლებასთან ერთგულად თანამშრომლობენ. ეს თანამშრომლობის სურვილი და ლოიალობა მათ დეკლარაციის სახით ამცნეს ამავე წლის აგვისტოში მთელ ქვეყანას. მე მოგახსენებთ იმ დეკლარაციაზე, რომელიც მიიღეს ნ. ნიკოლაძის მეთაურობით საქართველოს ყოფილმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა. მიუხედავად იმისა, რომ მათ ასეთი გამოსვლით დიდი რისხვა და შეჩვენება დაიმსახურეს მებრძოლ მენშევიზმის ბელადების მიერ.

რაც შეეხება მენეშვიკური პარტიის ყოფილ წევრებს მუშებსა და გლეხებს, ისინი დღეს ახალი გზით მიდიან და კომუნისტებთან ერთად აწარმოებენ თავგანწირულ მუშაობას ქვეყნად სოციალიზმის დასამყარებლად. ამათი ნაწილი უკვე შევიდა ოფიციალურად კომუნისტურ პარტიაში... დანარჩენებიც მალე დაიჭერენ ადგილს იმავე პარტიის რიგებში...

ახალგზელი — ეს არის უპარტიო პოლიტიკური აქტივი; მას შემდეგ რაც მან გადაყარა ძველი მენშევიკური იდეოლოგია, მას შემდეგ, რაც მან დაგმო როგორც მებრძოლი, ისე ლეგალური მენშევიზმი, დგება საბჭოთა პლატფორმაზე, დგება ახალ გზაზე და მზად არის იარაღით ხელში დაიცვას თავისი ახალი გზა, რომელსაც კომუნიზმის დროშის ქვეშ მიყავს სოციალიზმისაკენ.

ალ. ხელაძე.

# ერთა ლიგის არაოფიციალური სახე

ამ დღეებში დაასრულა მუშაობა ერთა ლიგის მორიგმა სესიამ, რომელიც რეგულიარულად იკრიბება ჟენევაში წელიწადში ოთხჯერ, თითქოს ხალხთა შორის სოლიდარობისა და მშვიდობიანობის პაციფისტური იდეების განსახორციელებლად, მათ შორის წამოჭრილი კონფლიქტების და გართულებული ურთიერთობის მოსაგვარებლად.

თუ რამდენად ასრულებს ამ მოწოდებას მსოფლიო ომში გამარჯვებული კოალიციის მიერ, ვერსალის ხელშეკრულების და კაპიტალისტური სისტემის დასაცავად, შექმნილი ეს „ხალხთა უზენაესი დაწესებულება“ კარგად მოეხსენება ერთა ლიგის „პატრიოტებს“ საფრანგეთინგლისის რეაქციონურ ბურჟუაზიას და მათ განკარგულებაში მყოფ ოპორტუნიზმის და სოციალ იმპერიალიზმის სახელოვან წარმომადგენლებს რენოდელ - პოლ ბონკურებს. მაგრამ ამ „კეთილშობილთა“ გარდა, ეს იცის აგრეთვე საერთაშორისო მუშათა კლასმა და კოლონიალურმა ერებმა. ჩინეთის, ინდოეთის, ეგვიპტეს და მაროკოს ხალხებმა, რომლებიც განუწყვეტლივ და თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებენ ერთა ლიგაში გაბატონებული იმპერიალისტების წინაალმდეგ კოლონიალური ექსპლოატაციისა და მონობისაგან თავის დასაღწევად, შეგნებული აქვთ, რომ ერთა ლიგა არის იმპერიალისტების გაერთიანებული ფრონტი მიმართული მშრომელი ხალხისა და კოლონიალური ერების წინაალმდეგ. რომლის საშუალებით უფრო ადვილად ახერხებენ თავისი იმპერიალისტური მიზნების განხორციელებას, ხალხის უფრო მკაცრი და სასტიკი კოლონიალური და პოლიტიკური რეჟიმის ქვეშ დაყენებას.

ერთა ლიგის 8 წლის „მოღვაწეობის“ შემდეგ, უკვე საკმაო მასალაა მიცემული იმის გასარკვევად, თუ რამდენად შორსაა მისი რეალური საქმიანობა საპროგრამოთ წამოყენებული პაციფისტური იდეების განხორციელებისაგან. ამ „საპატიო დაწესებულების“ თვითეული სესიის დასრულების შემდეგ აშკარა ხდება, რომ მისი მოწვევის მიზანი იყო არა მშვიდობიანობის და ხალხთა კეთილმეზობლური თანამშრომლობის შესაქმნელად საჭირო მუშაობის ჩატარება, არამედ იმპერიალისტების ლეგალური შეკრება ახალი კომბინაციების და მეთოდების შესამუშავებლად თავისი აგრესიული გეგმების განსახორციელებლად.

5 დეკემბერს, მოწვეული ერთა ლიგის მორიგი 48 სესიაც ვერ ულალატებდა ძველ ტრადიციას, მუშაობის ძველ პრაქტიკას. მისი დღის წესრიგი ოდნავათაც არ განსხვავდებოდა 8 წლის წინედ მოწვეულ პირველი სესიის დღის წესრიგისაგან. მის წინაშე ეხლაც იგივე საკითხები იყო წამოჭრილი გადასაწყვეტად, რაც თვითეულ სესიაზე ირჩეოდა, 48-ჯერ იქნა განხილული და ყოველთვის გადაწყვეტილად იყო გამოცხადებული, მაგრამ არსებითად ისევ გადაუწყვეტელი რჩებოდა, ისევ ახლად აყენებდენ ყოველ მორიგ სესიაზე.

სესიის ხელმძღვანელებმა, ლიგის მუშაობის ტრადიციის მიხედვით, თავიდანვე საჭიროდ დაინახეს ზოგიერთი საკითხების, როგორც მაგალითად: რუმინეთ - უნგრეთის დავა, რუმინეთის მიერ უნგრეთის მემამულეების მიწების კონფისკაციის გამო, ტრანსილვანიაში, დანციგის საჩივარი პოლონეთზე, რომ უკანასკნელი სისტემატურად არღვევს მის სუვერენობას, გერმანიის საჩივარი

პოლონეთის თავისისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ზემო - სილეზიაში, იტალია-საფრანგეთის კონფლიქტები და სხვა, მოხსნა დღის წესრიგიდან, რადგან ამას შეეძლო შეექმნა სესიაზე გართულება, გამოეწვია, იმ დიდი პრობლემების წამოყენება, რომელთა შესახებ მსჯელობის გამართვა არც ისე ხელსაყრელი იყო მათთვის. ეხლანდელ პოლიტიკურ კონიუნქტურაში.

წინა სესიებზე და განიარაღების მოსამზადებელ კონფერენციაზე მიღებული დამარცხების შემდეგ მათ იცოდენ, რომ ამ საკითხების გარშემო ისევ ჩიხში მოემწყვდეოდენ და ამიტომ დაკმაყოფილდენ ჩემბერლენი, ნეიტრალური განცხადებით და რჩევა-დარიგებით, რომ დაინტერესებულ მხარეებს უშუალო მოლაპარაკებით მიეღწიათ შეთანხმება, მოეგვარებიათ სადავო კითხვები..

დღის წესრიგის გაცხრილვის შემდეგ, სესის წინაშე დარჩა გასარჩევად მხოლოდ ერთი მეტად მწვავედ წამოჭრილი საკითხი,—პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი,—რომლის უპასუხოდ დატოვება შეუძლებელი იყო, რადგან ამას შეეძლო გამოეწვია გართულება მთელ აღმოსავლეთ ევროპაში, მათი სანქციის გარეშე. ერთა ლიგას არ შეეძლო აგრეთვე, რომ მხედველობაში არ მიეღო გერმანია-საბჭოთა კავშირის წინასწარი განცხადება და გაფრთხილება პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის შესახებ, რაც ერთგვარ პასუხისმგებლობას აკისრებდა მას.

ძალიან ძნელი იყო პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის ისე გადაწყვეტა, რომ ორივე მხარე დაკმაყოფილებული დარჩენილიყო, ლიტვის დამოუკიდებლობისათვის მფარველობა გამოეცხადებიათ და პოლონეთის იმპერიალისტური გეგმები არ შეეკვეცათ. მაგრამ ერთა ლიგის გამოცდილ დიპლომატებს—ბრიან — ჩემბერლენებს არ გაუძნელდათ გამოსავალის მონახვა, ამ რთული მდგომარეობიდან თავის დაღწევა, ერთა ლიგის „პრესტიჟის“ და ავტორიტეტის კრიზისის აცილება, რაც უსათუოდ მოჰყვებოდა ამ საკითხზე, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.

სესიის მიერ მიღებული დეკლარაციული რეზოლიუცია ისე მოხერხებულად არის შედგენილი, რომ საკითხი არსებითად გადაუწყვეტავი რჩება და არც ერთ მხარის არავითარი პასუხისმგებლობა და მოთხოვნილება არ აქვს წაყენებული. რეზოლიუცია სრულიად არ ეხება იმ კითხვებს, რაც იწვევს მათ შორის სისტემატიურ კონფლიქტებს და დავას და მხოლოდ კეთილი სურვილები გამოცხადებული, რომ მათ შორის არ უნდა იყოს საომარი მდგომარეობა, რომ ლიტვის მთავრობა არ სცნობდეს თავს პოლონეთთან საომარ დამოკიდებულებაში და უკანასკნელი პატივისცემით ეპყრობოდეს ლიტვის პოლიტიკურ სუვერენობას და დამოუკიდებლობას. სამწუხაროდ, ეს მორალური დარიგებაც ვერ არის ბოლომდე დაცული რეზოლიუციაში. მისი უკანასკნელი ნაწილი, რომელიც ამბობს: „რეზოლიუცია არ ეხება იმ კითხვებს, რომელთა შესახებ აზრთა სხვადასხვაობა და დავა არის მათ შორისო“,„—სავსებით აქარწყლებს და აბათილებს დასაწყისში გამოთქმულ სურვილებსაც.

მიუხედავად მისი, ულოღიკობისა, ამ რეზოლიუციიდან მაინც შეიძლება მიხვედრა, თუ როგორია ერთა ლიგის შეხედულება ამ კონფლიქტზე, რომ პოლონეთს ეხლა არ ეძლევა სანქცია ლიტვის წინააღმდეგ, ახალი ინტერვენციის დაწყების, ხოლო შემდეგისათვის ლიტვის დამოუკიდებლობის საკითხი ისევ პოლონეთის ნება-სურვილზეა დამოკიდებული,ერთა ლიგა არ იყვანს მას თავის მფარველობის ქვეშ. ვოლდემერასი გრძნობს ამას, რომ ერთა ლიგის გადაწყვეტილება, არა ოფიციალურად, შემდეგისათვის სანქციას აძლევს პოლონეთის აგრესიულ პოლიტიკას ლიტვის მიმართ და მისი დამოუკიდებლობის საკითხი ახალი გართულების წინაშე არის დატოვებული, მაგრამ სხვა გამოსავალი არ აქვს გარდა მორჩილების გამოცხადებისა. ლიტვის ფაშისტური მთავრობისათვის ერთა ლიგა არის უმაღლესი ინსტანცია, სადაც მას შეეძლო პოლონეთის აგრესიული მოქმედების გასაჩივრება და ფეაოკულობის თხოვა, ხოლო აქ დამარცხების შემდეგ მას რჩება მხოლოდ საკუთარი თავის იმედი და ლოიალური პოლიტიკის წარმოება ყველას მიმართ, სანამ ამის საშუალება ექნება.

ლიტვის ოფიციალურ პრესამ, რომელიც, თითქოს, ოპტიმისტურად იყო განწყობილი პირველ ხანებში, უკვე შესცვალა კილო და გაფრთხილებას აძლევს მთავრობას, რომ ფხიზლად იყოს, რადგან საეჭვოდ მიაჩნია 10 დეკემბერს მომხდარი პოლონეთის მშვიდობიანი სახის მიღება.

პოლონეთის იმპერიალისტებმაც პირდაპირ გაიგეს ერთა ლიგის გადაწყვეტილება, მათი დასკვნაც ასეთია რეზოლიუციის შესახებ. პოლონეთის ფაშისტურმა პრესამ კიდეც დაიწყო ახალი კამპანია ლიტვის წინააღმდეგ, უკვე გამოვიდა სამოქმედო ასპარეზზე. „პოლსკაია ზბროინა“ საჯაროდ აცხადებს თავის ფურცლებზე: „ჟენევის „სამშვიდობო დეკორაციამ“ ვერ ამოსწურა პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის უკანასკნელი ეპიზოდი. მიღებული გადაწყვეტილება უბრალო რჩევის ხასიათისაა. პოლონეთ - ლიტვის ურთიერთობის შემდეგი განვითარება საერთაშორისო მდგომარეობიდან არის დამოკიდებულიო“.

ამ განცხადების შემდეგ, ცხადია, თუ რას ფიქრობენ პოლონეთის იმპერიალისტები, რომ მათ სანქცია აქვთ მიღებული ერთა ლიგისაგან ხელსაყრელ მომენტში ინტერვენციის დაწყების. ეს, რომ ასე არ იყოს, საფრანგეთ-ინგლისის რეაქციონერების თანხმობის გარეშე, მათი ვასალური სახელმწიფოს პოლონეთის ოფიციოზი ვერ გაბედავდა ასეთი განცხადებით გამოსვლას, ახალი კამპანიის დაწყებას სესიის დასრულების მეორე დღიდანვე. „პოლსკაია ზბროინა“-ს პროვოკაციული გამოსვლები არც ამით განისაზღვრა. საზოგადოებრივი აზრის წინასწარ შესაჩვევად ლიტვის დაპყრობის აქტზე, მან დაიწყო „არგუმენტების“ წამოყენება ამ აქტის ისტორიული და პოლიტიკური მოტივებით გასამართლებლად: „ლიტვა წარსულში ყოველთვის პოლონეთთან იყო გაერთიანებული. ის უნიები, რომლებიც იდებოდა მასთან, თავადაზნაურობის სურვილის წინააღმდეგ, იყო ისტორიული აუცილებლობა. ლიტვის გეოგრაფიული მდგომარეობა, მას შემდეგ, რადგან არ შეცვლილა, ვფიქრობთ, ისტორია განმეორდებაო“. აქედან კიდევ უფრო აშკარაა, რომ პოლონეთის იმპერიალისტებს ახალ პერსპექტივაში აქვთ ხელსაყრელი „საერთაშორისო მდგომარეობა“ და მასთან დაკავშირებული ნებადართული ინტერვენცია.

ლიტველი ემიგრანტების ხელმძღვანელის და მომავალი ინტერვენციის ერთი ინიციატორთაგანის სოც.-დემ. პლეჩკეიტისის ფიგურა, რომლის გამოყვანა არ აღმოჩნდა საჭირო პილსუდსკისათვის ერთა ლიგის სესიაზე, კვლავ გამოჩნდა სამოქმედო ასპარეზზე და აცხადებს ლიტვაში მალე მოხდება აჯანყებაო.

პოლონეთში დაწყებული ასეთი ფართო კამპანია ლიტვის წინააღმდეგ, ერთა ლიგის სესიის შემდეგ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება მიეწეროს პოლონეთის პრესის საკუთარ ინიციატივას. ის გარედან ნაკარნახევია. ამის დამადასტურებელია; საფრანგეთის რეაქციონურ პრესის გამოსვლები ამავე საკითხის გარშემო, სადაც პოლონეთის თვალსაზრისი სავსებითაა დაცული და გამართლებული: „ლიტვის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დატოვება შეცდომაა. პოლონეთ-ლიტვის შორის არსებული კონფლიქტის იდეალური გადაწყვეტა იქნება ლიტვის პოლონეთთან შეერთება და სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ვილნოს ოკუპაციის დადასტურება, არის აქეთ გადადგმული პირველი ნაბიჯიო“. ამაზე უფრო აშკარა გამართლება და სანქციის მიცემა პოლონეთის აგრესიული პოლიტიკისათვის შეუძლებელია.

გერმანია-საბჭოთა კავშირის აქტიური გამოსვლით ლიტვა-პოლონეთის კონფლიქტში, პირველის სასარგებლოდ, მისი სუვერენობის დასაცავად, დროებით აცილებულ იქნა პოლონეთის ინტერვენცია; ერთა ლიგა იძულებული გახდა პოლონეთი შეეჩერებია ახალი პრო-

კაციული გამოსვლებისაგან, მაგრამ კონფლიქტი ისევ გადაუწყვეტელია, ლიტვის დამოუკიდებლობა ისევ საფრთხეშია და ერთა ლიგის დაცვის გარეშეა დაყენებული.

ლიტვის მაგალითი არ არის გამონაკლისი. ერთა ლიგა და ევროპის რეაქციონური ბურჟუაზია ასე „იცავს“ ყველა წვრილი ერების ინტერესებს, მათ, სუვერენობას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ეს უნდა გავახსენოთ ქართველი ემიგრაციის ხელმძღვანელებსაც, რომლებიც ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების დახმარებით ჰპირდებიან ქართველ ხალხს სუვერენობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაცვას, რომ ამ ყალბი, დემაგოგიური და რეაქციონური პოლიტიკით ვერაგის შეიყვანენ შეცდომაში.

კ. ჭეიშვილი.

# საბჭოების გადარჩევისათვის

პარტიისა და ხელისუფლების ორგანოების წინაშე ფრიად დიდმნიშვნელოვანი კამპანია სდგას ჩასატარებლად, რომლის წარმატებით დასრულება დიდათ შეუწყობს ხელს დაწყებულ სოციალისტურ აღმშენებლობის კიდევ უფრო გაძლიერებას. ეს კამპანია არის საბჭოების გადარჩევები, რომელიც საკავშირო ცაკის დადგენილების მიხედვით უნდა ჩატარდეს 1928 წლის დასაწყისში.

წინასწარი სამზადისი ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია თითქმის ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში. საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის ცირკულიარის მიხედვით, მთელი საარჩევნო კამპანიის ჩატარება იყოფა სამ პერიოდათ. პირველი პერიოდი ეხება არჩევნების ორგანიზაციულ ტეხნიკურ მომზადებას. ეს მუშაობა უკვე დაიწყო 20 დეკემბრიდან და უნდა დამთავრდეს 20 იანვრამდე. ამ ხნის განმავლობაში უნდა მოეწყოს ადგილებზე საარჩევნო კომისიები, შესდგეს კალენდარული გეგმა კამპანიის მსვლელობისათვის, უნდა შესდგეს საარჩევნო სიები, გამოირკვეს ხმის უფლების მქონეთა და არა მქონეთა რაოდენობა და დანაწილდეს საარჩევნო უბნები.

ყველა ეს მუშაობა ფრიად საპასუხისმგებლო ხასიათს ატარებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა სიების სწორად შედგენა და საარჩევნო კომისიების ისეთი პირებისაგან შექმნა, რომელნიც დიდი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობენ ამომრჩეველთა ფართე მასებში და აგრეთვე შესწევთ მუშაობის უნარი.

მეორე პერიოდი ეხება წინასწარ საარჩევნო კრებების ჩატარებას, რომელზედაც მოსმენილი იქნება წარსული მუშაობის საანგარიშო მოხსენებები. მისი დამთავრების ვადა განსაზღვრულია პირველი მარტისათვის. წინასწარი კრებები ფართედ უნდა იქნეს გამოყენებული ამომრჩეველთა აქტივობის გამოსახატავად. თვითეულ ასეთ კრებებზე ამომრჩევლები გაეცნობიან საბჭოს წევრთა და აღმასკომების განვლილ საქმიანობას, ყოველმხრივ შეაფასებენ ამ მუშაობას და ამგვარად მომზადებული შეხვდებიან მომავალ არჩევნებს. წინასწარი კრებები კიდევ იმითია საყურადღებო, რომ, ამ კრებებზე დასახელებული იქნება ასარჩევი დეპუტატების სია. ამომრჩევლები ასარჩევ დეპუტატების ღირსება-ნაკლულოვანებებს ყოველმხრივ განიხილავენ, შეამოწმებენ მათი მუშაობის უნარიანობას, რაც საშუალებას მისცემს მათ აირჩიონ ისეთი დეპუტატები, რომელნიც ენერგიულად და თავდადებით შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. წინასწარ საარჩევნო კრებებმა ფართე გამოძახილი უნდა ჰპოვოს ღარიბ და საშუალო გლეხებისა და აგრეთვე მუშათა ფართე ფენებში აქ საჭიროა ისეთი თვითმოქმედების გამოჩენა, რომ წინასწარ იქნეს უზრუნველყოფილი არჩევნებზე კულაკური ელემენტების სრული გარიყვა.

მესამე პერიოდში უნდა ჩატარდეს არჩევნები და შესდგეს სათემო, სამაზრო და სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობები.

როგორც ვხედავთ პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს მომავალი არჩევნების ჩატარებას. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან საბჭოების ნაყოფიერ მუშაობაზე არის მთლიანად დამოკიდებული საბჭოთა წყობილების კიდევ უფრო განმტკიცებისა და აღორძინების ბედი.

წარსული წლის არჩევნები ჩატარდა საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებისა, ამომრჩეველთა აქტივობისა, კულაკური ელემენტების გარიყვისა, და უპარტიო მუშებისა და გლეხების საბჭოებში უფრო მეტი რაოდენობით ჩაბმის ლოზუნგით.

გასული არჩევნების შედეგებმა მთლიანად გაამართლეს მმართველი პარტიის მიერ დასახული ასეთი ხაზი. წინა მოწვევის საბჭოებთან შედარებით, ეხლანდელი საბჭოების მუშაობა გაცილებით ნაყოფიერი და საქმიანია.

მომავალი არჩევნებიც უნდა ჩატარდეს იმავე ლოზუნგებით. მიღწეული შედეგებით დაკმაყოფილება შეუძლებელია. რაც დრო გადის, ხელისუფლების წინაშე ისახება უფრო მძიმე და რთული ამოცანები, რომლებიც მოითხოვენ ენერგიულ მუშაობას. ეს ამოცანები ერთობ მრავლია, მაგრამ ჩვენ შევეხებით მხოლოდ სამ უმთავრესს: ესენია თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სასოფლო მეურნეობის ისეთი ტემპით განვითარება, რომ შესაძლებელი გახდეს მისი სოციალისტურ რელსებზე გადაყვანა.

ქვეყნის თავდაცვის საქმეში უკვე მიღწეულ შედეგების მიუხედავად საჭიროა კიდევ დიდი მუშაობის წარმოება. საბჭოთა რესპუბლიკები ალყაშემორტყმული კაპიტალისტური სახელმწიფოებით, რომელთა მესვეურები სიტყვით შიარაღების შემცირებაზე ლაყბობენ, ხოლო საქმით კი ყოველდღიურად აძლიერებენ საზღვაო, საჰაერო და ხმელეთის სამხედრო ძალას. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ რაც უშედეგოდ დამთავრდა საზღვაო შეიარაღების შესამცირებლად მოწვეული სამთა კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა სამი უძლიერესი სახელმწიფო: ინგლისი, ამერიკა და იაპონია. ამ კონფერენციის ჩაშლის შემდეგ თვითეული მათგანი სცდილობს წინ გაუწროს დანარჩენების სამხედრო ძლიერებას და აურიცხელ თანხებს აბანდებენ შეიარაღების გადიდებისათვის.

ასევე უშედეგოთ დამთავრდა განიარაღების მოსამზადებელი კომისიის სესიაც, რომლის მუშაობაში საბჭოთა დელეგაციაც იღებდა მონაწილეობას. საბჭოთა დელეგაციის მიერ სესიაზე წარდგენილი განიარაღების დეკლარაციის განხილვა გადაიდო შემდეგისათვის, თუმცა აშკარაა, რომ იმპერიალისტები ამ დეკლარაციის მიღებას ვერასოდეს ვერ დაეთანხმებიან რადგან ეს იქნებოდა მათთვის საკუთარი თავის თვითმკვლელობა.

ამხ. ვოროშილოვის მიერ მე-15 ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა ნათელ სურათს იძლევა იმის წარმოსადგენად, თუ როგორი თავდადებით ემზადებიან იმპერიალისტები მომავალი ომისათვის. და ეს მზადება კი პირველ ყოვლისა მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ასეთ პირობებში, მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანი პოლიტიკისა, მშრომელთა სახელმწიფოს წინაშე სდგას თავდაცვის გაძლიერებისათვის ზრუნვა. იმპერიალისტურ შეიარაღებას ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ წითელი ჯარის სიმტკიცე და მშრომელთა ფოლადისებური შეკავშირება. საბჭოთა რესპუბლიკების უპირატესობა იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე იმაში მდგომარეობს, რომ აქ მოსახლეობის აბსოლიუტური უმრავლესობა მხარს უჭერს და იცავს საბჭოთა ხელისუფლებას როგორც მშრომელთა ინტერესების დამცველს. კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობები კი ამ უპირატესობას მოკლებულნი არიან და სწორედ ეს არის ჩვენი მომავალი გამარჯვების აუცილებელი საწინდარი.

მომავალი მოწვევის საბჭოებმა თავდაცვის უნარია-

ნობის გაძლიერებისათვის ზრუნვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.

შემდეგი საკითხი არის ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რომელიც მდგომარეობს მძიმე მრეწველობის შექმნაში. რა თქმა უნდა ამასთან ერთად არ უნდა იქნეს დავიწყებული მსუბუქი წარმოება, რომელიც აკმაყოფილებს სამომხმარებლო ბაზარს. ამ ამოცანის გადაჭრის მთავარი სიძნელე იმაში მდგომარეობს რომ მძიმე მრეწ. შექმნა საბჭოთა ხელისუფლებას უხდება საკუთარი საშუალებებით.

კაპიტალისტური სახელმწიფოები მას ქმნიდენ კოლონიების გაძარცვით და საგარეო სესხით. კოლონიები საბჭოთა კავშირს არ გააჩნია და მას ის არც საჭიროებს. კაპიტალისტების მოცემულ სესხზე ჩვენ იმედს ვერ დავამყარებთ. ისინი, ვინც ყოველ დროს იმას ფიქრობს, თუ როგორ გაანადგურონ პროლეტარული სახელმწიფო, მას სესხს არ მისცემენ.

დარჩა მესამე გზა, საკუთარი საშაულებებით მრეწველობის აღორძინება, რაც უნდა მოხდეს შინაური სეახისა და ნაციონალური რესურსების დაგროვების საშუალებით.

მიმდინარე წელში მთავრობამ პირველად გამოსცა 200 მილიონის საინდუსტრიალიზაციო სესხი, რომლის განაღდებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მომავლისათვისაც ეს ზომა აუცილებლად იქნება საჭირო, მაგრამ ამასთან ერთად უფრო დიდი ყურადღება უნდა მიექცეს გეგმიანობას. თვითეული წარმოება უნდა გახდეს მომგებიანი, სხვაგვარად ნაციონალური სიმდიდრის შექმნაზე ფიქრი შეუძლებელია. მტკიცედ უნდა გატარდეს ცხოვრებაში ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემდგომი შემცირება. საერთოდ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმე იმდენად რთული და საპასუხისმგებლოა, რომ ხელისუფლების ორგანოების განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ამასთანავე ამ ამოცანის განხორციელება საჭიროებს მასების აქტიურ დახმარებას. საბჭოების ენერგიულ საქმიანობას კი მასში განსაკუთრებული როლი ენიჭება.

დაბოლოს ხელისუფლების მორიგ ამოცანად სდგას სასოფლო მეურნეობის განვითარება, მაგრამ ამ განვითარებას უსათუოდ უნდა მიეცეს სოციალისტური სახე. ისეთ გლეხურ ქვეყანაში, როგორსაც საბჭოთა რესპუბლიკები წარმოადგენენ, ეს ამოცანა ფრიად რთული და საპასუხისმგებლოა. სასოფლო მეურნეობის შემდგომი განვითარება უნდა სწარმოებდეს კოოპერტიულ და კოლექტიურ მეურნეობების შექმნის გზით. კოლექტიური მეურნეობანი ჩვენში ჯერ კიდევ ძლიერ სუსტად არიან განვითარებული. მომავალში ეს მუშაობა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. კოლექტივები ისეთ პირობებში უნდა იქნენ ჩაყენებულნი, რომ მათი უპირატესობა კერძო მეურნეობაზე თვალსაჩინო უნდა იყოს თვითეული წვრილი მეურნისათვის. ასეთ პირობებში მტკიცე ნიადაგი ჩაეყრება კოლექტიურ მეურნეობათა შემდგომ განვითარებას.

ამასთან ერთად ღარიბი და საშუალო გლეხობის კოოპერაციაში გაერთიანება და მათი კრედიტით უზრუნველყოფა ხელისუფლების მორიგი ამოცანაა.

არსებობს მთელი რიგი სხვა საკითხები, რომლის მოგვარება დიდად შეუწყობს ხელს მშრომელი მასეაის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და რასაც საბჭოების მუშაობაში უნდა დაეთმოს საპატიო ადგილი.

ერთი სიტყვით საბჭოების მომავალ გადარჩევებთან დაკავშირებით ხელისუფლების ორგანოების წინაშე ისახება მთელი რიგი პრობლემებისა, რომლის მოგვარებას და სათანადოთ გადაჭრას უპირველესი ადგილი უჭირავს საბჭოების შემდგომ მუშაობაში. ამიტომ ამჟამად მშრომელთა მთელი ყურადღება ამ გადარჩევების წარმატებით დაგვირგვინებისაკენ უნდა იქნეს მიპყრობილი.

ს. ელიაძე.

# რა სურს ემიგრაციას

12

## დასკვნა

(დასასრული)

1) მენშევიკური ემიგრაცია საბოლოოდ დაშორდა კლასობრივ პოზიციას. არა კლასი არამედ ნაცია—აი მისი სოციალური ბაზა.

„ერთად დგომა, ერთად ბრძოლა, ერთი დროშა“—ასეთია მისი ახალი სახარება (იხ. ნ. ჟორდანიას წერილი „დამოუკიდებელი საქართველო“ № 1).

2) ემიგრაცია მიმართავს „ევროპის მმართველ წრეებს“ (ნ. ჟორდანია „ჩვენ და ისინი“ (გვ. 13).

3) ემიგრაცია მოითხოვს ინტერვენციას, რომელსაც დახმარების ფსევდონიმით ასაღებს.

4) მენშევიზმი ებრძვის ამიერ-კავკასიის არსებულ ფედერაციას, მოითხოვს მის დაშლას, შემდეგ კი გვპირდება ახალი ფედერაციის შექმნას („ბრძოლის საკითხები“ გვ. 19). ამით ის ეთიშება, როგორც კომუნისტებს, ისე ჩვენი საზოგადოების პატრიოტულად განწყობილ ნაწილსაც, რომელიც არ სცნობს არავითარ ფედერაციას არც ბოლშევიკურსა და არც მენშევიკურს.

5) ემიგრაცია მოითხოვს ძველ კაპიტალისტურ ურთიერთობის აღდგენას. („ბრძოლა № 15), რადგანაც თურმე „ბურჟუაზიული ურთიერთობა ხალხს სანატრელად გაუხდა“ („ბრძოლა“ № 1).

ნ.რამიშვილის სახით მენშივეკური ემიგრაცია აყენებს ახალ პროგრამას. რაშია მისი რაობა, როგორ იყენებს ის მენშევიკების ოთხი წლის სახელმწიფო მოღვაწეობას და შვიდი წლის საბჭოთა აღმშენებლობას?

ახალ პროგრამაში (იხ. „ბრძოლა“ № 10—11 მრავალი საყურადღებო. დებულებაა. მოვიყვანოთ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი.

1. „ერთი ერი-ერთი სახელმწიფო—ასეთია სოციალ-დემოკრატიის პრინციპი“—აცხადებს ნ. რამიშვილი. ეს დებულება ოდესღაც ნ. ჟორდანიამ წამოაყენა, დღეს მას იმეორებს ნ. რამიშვილი. რას ნიშნავს ეს დებულება, რამდენად მისაღებია იგი? დებულება „ერთი ერი-ერთი სახელმწიფო“— ასე შეიძლება გაიგოთ: რამდენიც ერია—იმდენი სახელმწიფო უნდა შედგეს, კარგი და პატიოსანი. ვსთქვათ ჩვენ ეს პრინციპი მივიღეთ. რას მოგვცემს ის საქართველოში?--მხოლოდ ახალ არევ დარევას, მის კიდევ უარესად დაქუცმაცებას, მაშინ საქართველოდან უნდა გამოიჭრას რამდენიმე სახელმწიფო, რადგანაც საქართველოში ქართველების გარდა სხვა ერებიც ბინადრობენ.

ვსთქვათ დებულება „ერთი ერი—ერთი სახელმწიფო“ ნიშნავს სახელმწიფოში ერთი რომელიმე ერის **გაბატონებას.** მისაღებია ეს? რა თქმა უნდა არა, ვინაიდან ერთი ერის **გაბატონება** სხვა ერების ჩაგვრასა და დამონებას ნიშნავს. ამნაირად ეს დებულება ყოვლად მიუღებელია. ეს იგივეა რომ ვსთქვათ„საქართველო ქართველებისათვისო“. ეს დბეულება უარყო ჯერ კიდევ 1918 წელს ნაციონალისტმა გ. ვეშაპელმა. და ნაციონალისტთა ჯგუფის სახელით წამოაყენა „საქართველო უპირველეს ყოვლისა ქართველისათვისო“. სოციალ-დემოკრატიისათვის უდიდესი სირცხვილად უნდა ჩაითვალოს ამ საკითხში ნაციონალისტებზე უფრო მარჯვნით წასვლა!

2) **„სოციალიზმის დამყარება** ანუ საბოლოო მიზნის მიღწევა აღემატება ერთი რომელიმე ქვეყნის მუშათა ძალღონეს და **მსოფლიო პროლეტარიატის გაერთიანებას და საყოველთაო ამოქმედებას მოითხოვსო**“.

ასე რომ ვიდრე „მსოფლიო პროლეტარიატი არ გაერთიანდება და საყოველთაოდ არ ამოქმედდება“—

სოციალიზმზე ოცნება ერთს რომელიმე ქვეყანაში წყლის უბრალო ნაყვა ყოფილა.!

ეს თეზისი ეწინააღმდეგება „კომუნისტური მანიფესტის“ ცნობილ დებულებას, ეწინააღმდეგება ყოველივე იმას, რაც მარქსი პარიზის კომუნის შესახებ „სამოქალაქო ომში“ სწერდა და სხვ.

კიდევ მეტი. ეს დებულება ეწინააღმდეგება თვით მენშევიკების განცხადებას აკი ისინი მეორე ინტერნაციონალს სწერენ: საქართველოში ჩვენ „სახელმწიფოოებრივ სოციალიზმს ვაშენებდითო!“

ნ. რამიშვილმა კარგა ხანია სოციალიზმზე ხელი აიღო, მან ჰპოვა ახალი ნავთსაყუდარი. ეს არის ევროპის „პროგრესიული“ იმპერიალიზმი, მარა ამ „განხრას“ დასაბუთება სჭირდება და აი რამიშვილიც „ასაბუთებს“. სოციალიზმი უნდა დამყარდეს ყველგან ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე საათსა და წუთს. საქართველო ჯერ კიდევ იტანჯება „კაპიტალიზმის ნაკლები განვითარებით“. მაშასადამე, სოციალიზმის საკითხი საქართველოში უნდა მოიხსნას. სოციალიზმი შევბულებაში, ბურჟუაზიული ურთიერთობა დღის წესრიგში—აი დიპლომატიური გამოსავალი, რომელიც ნ. რამიშვილმა ჰპოვა. ამ გზით უმანკოებაც შენარჩუნებულია (შეიძლება ვინმე გულუბრყვილოომ კიდევ დაიჯეროს, რომ ის სოციალიზმს დროებით დაშორდა) და კაპიტალიც ნაპოვნი. (ეს კაპიტალი გახლავთ მთელი ბურჟუაზიის თანაგრძნობა და დახმარება).

3) ნ. რამიშვილი მუშებსაც თვალებს უქნევს და დემაგოგიას დემაგოგიაზე აცხობს.

ის გვპირდება მომავლისათვის:

„მუშა მოსამსახურეთათვის ბაღ ქალაქების გაშენებასა და იაფი ბინების აგებას“ მუშა მოსამსახურეთა და მათ ოჯახების უფასო ექიმობას“.

„სოფლად და ქალაქად უფასო საავადმყოფოების გახსნას“ და სხვა.

მაგრამ ყოველი ეს რომ უკვე განხორციელებულია საბჭოთა საქართველოში მუშათა „უფასო ექიმობა“ ბაღქალაქების აშენება“ საქართველოში უკვე 1921 წლიდან, საქართველოს გასაბჭოებიდან, დაიწყო ასე რომ ის, რაც ნ რამიშვილს შორეულ იდეალად მიაჩნია, საბჭოთა საქართველოში უკვე ფაქტია, გაცილებით უფრო ფართო და მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული საქმიანობაა. ნ. რამიშვილი ტყვილად იწუხებს თავს ასეთ რამეებისათვის ისიც ძლიერ დაგვიანებით (რევოლიუციის ათი წლის შემდეგ!).

4) სახელმწიფო ბიუჯეტიდან რომელიმე პოლიტიკურ პარტიის სასარგებლოდ რაიმე თანხის გადადების აკრძალვა“—საკუთარი ბატონობის დროს ამას არ ასრულებდა ნ. რამიშვილი. ამის უტყუარი ფაქტი მრავალია. მე აქ მოვიყვან მხოლოდ ერთს ფაქტს. 1920 წელს ჩვენში ჩამოვიდა მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია. უკანასკნელი მოიწვია საქართველოს მენშევიკების ცენტრალურმა კომიტეტმა, ხოლო ხარჯი დელეგაციის ჩამოსვლით გამოწვეული, დაფარა საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ. ეს უტყუარი ფაქტია. როგორც ხედავთ აქ წამოყენებულ დებულებას არ ასრულებდა სწორედ ნ. რამიშვილი...

5) ნ. რამიშვილი განაგრძობს ჯამბაზობას და მოითხოვს: „სიკვდილით დასჯის გაუქმებას“, მოდით და ნუ მოხვალთ განცვიფრებაში! ნ. რამიშვილი ძლიერ ფართოდ იყენებდა სიკვდილით დასჯას, ამ ინსტიტუტს თავგამოდებით იცავდა მენშევიკური პრესა—„ერთობა“, „ბარბა“. კიდევ მეტი. ნ. რამიშვილმა მიაღებინა სიკვდილით დასჯა თვით დამფუძნებელ კრებას, თუმცა მასში იყვნენ ამ ინსტიტუტის სასტიკი მოწინააღმდეგენი, ახლა იგივე ნ. რამიშვილი გამომდგარა და გვეუბნება: სიკვდილით დასჯა უნდა გაუქმდესო.

ვსთქვათ, მოხდა მარცხი და ნ. რამიშვილი ისევ ქვეყნის სათავეში მოექცა. იტყვის კი ის მაშინ „სიკვდილით დასჯა გაუქმდესო?“.

— არა მგონია...

ქართული ანდაზა ამბობს: გზა მაშინ გამოჩნდება, როცა ურემი გადაბრუნდებაო. ნ. რამიშვილზე ეს სავსებით არ გამართლდა. მას ურემი გადაუბრუნდა, მაგრამ გზა კი ვერ მონახა. ამიტომ ჩვენ ვამბობთ: ვისაც ურჩევნია ამ გადაბრუნებულ ურემზე ჯდომა—დეე იჯდეს: მხოლოდ რეალურ საქართველოს ეს ურემი არ გამოდგება. ეს დაამტკიცა 1921 წელმა, იგივე დამტკიცდა 1924 წელს, ამასვე ადასტურებს ჩვენი ყოველდღიური სინამდვილე.

ემიგრაცია ხედავს მხოლოდ ბოლშევიკებს, საქართველოს კი ის ვერ ხედავს. მან დღემდე ვერ შეიგნო, რომ ბოლშევიკებისათვის მოქნეული ჯოხი ხვდება უპირველეს ყოვლისა საქართველოს, ქართველ მუშას, ქართველ გლეხს და ქართველ ინტელიგენტს.

საქართველო ტორამას მკლავი არ არის, რომ რამიშვილის ექსპერიმენტებიჰ და სეანსები უმტკივნეულოდ გადაიტანოს!

ლეო შენგელაია.

# რას გვაძალებს თანამედროვე მომენტი

ვინც სულ არ მოწამლულა თანდაყოლილი პოლიტიკური ქინიანობით, ვისაც ოდნავ მაინც შერჩენია საღი მსჯელობის უნარი და სინამდვილის სისწორით შეფასების შესაძლებლობა, ვისაც თვალნი ხედვად აქვს და ყურნი სმენად, ვინაც სულ არ ჩაფლულა მებრძოლ მენშევიზმის ჭაობში, მან ყველას გასაგონად, თამამად, და გაბედულად უნდა აღიაროს ის უდაო ჭეშმარიტება, რომ ქართველ ერს თავის მრავალ ტანჯულ ისტორიულ მანძილზე არ ღირსებია თავის ქვეყნის ესოდენი კულტურული, ეკონომიური და ეროვნულ - პოლიტიკური აღორძინების ისეთი დიადი ხანა, რომელშიაც ის იმყოფება დღეს მმართველ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით.

რას წარმოადგენდა საქართველო — გასაბჭოებამდე?

ყველამ ვიცით რომ საბჭოთა რუსეთისაგან გამოთიშული ქვეყანა განიცდიდა ომისა და შფოთის დაუსრულებელ ტრაგიზმს. მისი არსებობის სამი წლის განმავლობაში ქართველი ხალხის ღარიბ მოსახლეობას არ ღირსებია მშვიდობანი, მყუდრო ცხოვრება. ქვეყნის აღმშენებლობისთვის ვინღა ფიქრობდა, ვის-ღა ეცალა. ანდა სადღა იყო ამისთვის საჭირო შემომქმედი ძალები. ყოველ სამ თვეში ჩვენს გაძვალტყავებულ მუშებსა და გლეხებს სხვადასხვა ფრონტებისაკენ ერეკებოდენ. სამოქალაქო ომების ცეცხლი შიგნით—ბოლშევიკებთან, ომები გარეთ მეზობელ ერებთან. ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობა ხომ მთლად ფიქცია იყო. დამფუძნებელი კრება — ეს ხომ შირმა იყო ხალხის თვალის ასახვევად შიგნით, ხოლო უხეირო დიპლომატია გარედ... საქ. სოც. დემოკრატიამ შექმნა ბურჟუაზიულ - კოალიციონური ფორმა წყობილებისა, და თუ კი რამ გააჩნდა სოციალისტური მორალისა თუ პატიოსნების, ქართველი ზუბრების—ჟეშაპელ-კედიას ფეხ - ქვეშ დაბერტყა. საქართველოს მიწა-წყალი გადაიქცა ანტანტის ჯარების სათარეშო მოედნად. წითელი აჩრდილის მოლოდინში მათი გენერლები მხსნელ მესსიად იქნა მიჩნეული. უნდა ითქვას, ამ გენერლების ღვარძლიანი რჩევა-დარიგებანი, ზოგჯერ მუქარაც დაუყოვნებლივ სრულდებოდა, როგორც საშინაო, სამეურნეო, ისე საგარეო პოლიტიკაში ჩვენი მუშებისა და გლეხების საზიანოდ. შექმნილი მდგომარეობა-კი სისხლისაგან სცლიდა, ეკონომიურად და კულტურულად ანიავებდა ქართველ ხალხს, პატივს ხდიდა მის რევოლიუციონურ და ეროვნულ თავმოყვარეობას.

მენშევიკურმა ხელისუფლებამ ვერ შემატა ქვეყანას ვერც ერთი საწარმოო ქარხანა, ვერც ერთი ფაბრიკა,

ვერც ერთი ელექტრო-სადგური, მან არამც თუ ვერ შეაკეთა ძველი ქარხანა-ფაბრიკები, ვერ მოუარა მეფის დროინდელ დარჩენილ ამიერ-კავკასიის უამრავ სამხედრო დოვლათს. მათი უყურადღებობით ცეცხლს მიეცა დაიწვა და გავერანდა ათეული წლების საყოფი მილიონები. არავინ ფიქრობდა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციაზე, არხების გაყვანაზე, ჭაობების ამოშრობაზე. ერთი სიტყვით, არაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომელსაც საფუძვლად უნდა დასდებოდა ჩამორჩენილი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარება.

საქ. გასაბჭოების დღე უდიდესი თარიღია ქართველი ერის ისტორიაში. 25 თებერვლიდან იწყება ახალი ეპოქა ქართველი მშრომელი ხალხის ცხოვრებაში. ეწყობა ამიერ-კავკასიის ერთა ძმური კავშირი. ნიადაგი ეცლება ეროვნულ ანტაგონიზმს, დაუსრულებელ შუღლსა და მტრობას, რასაც შედეგად მოყვა საქ. ეროვნულ-კულტურული და ფიზიკური გაჯანსაღება. მართალია გასაბჭოების პირველი წლები იყო მტკივნეული, მაგრამ ეს ტკივილები სრულიად გაქრენ მას შემდეგ, რაც რომ საქმენმან მისმა გამოაჩინა ბოლშევიკები განახლებულ ქვეყნის ზედა პირზე აღმშენებლობის ყოველგვარ დარგში. საქართველოს გასაბჭოებამ კიდევ რა მოუტანა ქართველ ხალხს? რეალური თავისუფლება, საწარმოო ძალების უჩვეულო განვითარება, ქალაქისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება; საქსოვ-სართავი ახალი ფაბრიკები, ქარხნები, და მომავალში მისი მრავლად აშენების უტყუარი პერსპექტივები, ქალაქისა და სოფლის ელექტროფიკაცია. მუშათა ხელფასის ზრდა და მათი ეკონომიური მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესება. გამოუსადეგარ მიწების მასობრივი მელიორაცია, სწავლა-განათლების საქმეში მთელი მოსახლეობის ჩაბმა, კოოპერაციის განვითარებით სავაჭრო დარგში კერძო ინიციატივის განდევნა—და მრავალი სხვა...

რა არის ყველაფერი ეს თუ არა ფუძე ნაციონალური მრეწველობისა, მეურნეობის სოციალისტური გეზი, მიმართული ჩვენი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრების გაჯანსაღება-განვითარებისათვის?

და ყველა ამის შემდეგ ნუ თუ აღმოჩნდებიან ისეთი ურწმუხონი, რომელთაც ოდნავ მაინც შერჩენიათ რევოლიუციონური სინდისი, სწამთ მუშათა კლასის ინტერესების დაცვა, და ვინაც თავისი ბეცი, დამღუპველი პოლიტიკით ხელს არ უწყობს კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებას, — აქვს უფლება ძველის დაბრუნებაზე, ბატონყმობის აღდგენაზე იფიქროს?

აგვისტოს სისხლიანი დღეები მწარე გაკვეთილი უნდა იყოს ყველა განზე განდგომილთათვის. კმარა ავანტიურა, კმარა ქართველი ერის სხეულზე ოპერატიული ცდების გაკეთება. კმარა უიმედო და განუხორციელებელ პრეტენზიების წამოყენება, კმარა ლოდინი იმპერიალისტური გემების შავ ზღვაზე გამოჩენაზე. ვისაც სწამს მშრომელთა მიერ მოპოებული თავისუფლება, ვინც არის ნამდვილი პატრიოტი. სწამს სამშობლო მისი და სურს შეინარჩუნოს ის, მან ყოველ მხრივ უნდა იბრძოლოს მის დასაცავად, ვინაიდან დღევანდელი რეალური საქართველო, არ გაიცვლების სხვაზედა, ის ნამდვილი სამშობლოა მისი. ,

დავირაზმოთ მმართველ პარტიასთან, გავიზიაროთ მისი ჭირი და ლხინი, დავეხმაროთ მას აღმშენებლობის ამ უდიდეს დევიზის გატარებაში. მზად ვიყვეთ საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, მუშათა კლასისა და სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის მსოფლიოს მასშტაბით.

ამას გვავალებს ჩვენ საბჭოთა კავშირის გარშემო შექმნილი მომენტის სერიოზულობა, ამას გვიკარნახებს ჩვენ ეროვნული სასიცოცხლო ინტერესებიც.

**ევტიხი ვადაჭკორია.**

# ვაჭრობის ძირითადი საკითხები

**(ვ. თევზაიას წიგნის გამო)**

ამ სახელწოდებით გამოვიდა ვიქტორ თევზაიას წიგნი, თბილისი 1927 წ. წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს: „....როგორც ჩვენში არსებულ სპეციალური (კოოპერატიული და ფინანსიური) კურსების, ისე სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტებიასთვის ეს დარგი სპეციალურ სწავლის საგანს წარმოადგენს. მოკლე სახელმძღვანელო კი ქართულ ენაზე ჯერ-ჯერობით არ მოიპოვება"-ო. და ქვევით აღნუსხავს, რომ, ამ საკითხთან დაკავშირებულია მთელი რიგი პრაქტიკული საკითხებისა, აგრეთვე იურიდიული და ვინიადან ეს კითხვები გარკვეული აქვს შ. გოგებაშვილს „სამომხმარებლო კოოპერაცია"-ში და ს. ჯაფარიძეს „სავაჭრო სამართალში", ავტორი ამ საკითხებს არ შეეხება. აქედან ყველა მკითხველმა შემდეგი დასკვნა უნდა გამოიტანოს: მაშასადამე ავტორის მიზანია საკითხის თეორიულათ გაშუქება, ანუ ვაჭრობის როგორც ეკონომიური ფაქტორის დახასიათება და მეცნიერულათ დასაბუთება ყველა იმ პოსტულატებისა, რომელზედაც შენდება (ან აშენებულია) სახალხო მეურნეობის ეს მნიშვნელოვანი დარგი.

მიზანი მეტის-მეტად სიმპატიურია და ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერებისათვის ფრიად საჭირო. აგრეთვე შრომა, რომელიც აღნიშნულ მიზანს მიაღწევს, ცხადია მოსწავლე ახალგაზრდობისათვის „კოვზით ზიარება" იქნება, ვინაიდან როგორც ავტორი სამართლიანად აღნიშნავს ქართულ ენაზე ასეთი სახელმძღვანელო არ მოიპოვება.

ამიტომაც, ვფიქრობთ, საჭიროა აღნიშნულ წიგნისადმი ყურადღების გამოჩენა. ამას გვავალებს ერთის მხრით თვით საკითხის სწორი გაშუქებიბს საჭიროება, ხოლო მეორე მხრით, თვით წიგნისა და მისი ავტორის პრეტენზიები, რომ გამოცემულის საშუალებით ნაკლი ერთგვარათ ივსება.

წიგნი 17 თავისაგან შესდგება და იხილავს უმთავრეს საკითხებს. ჩვენ უადგილობის გამო, არ გამოუდგებით უმთავრესად ისტორიულ ნაწილს; როგორც აღებ-მიცემობის წარმოშობაა. (ამაზე ბევრი არის ქართულ ენაზე დაწერილი), აგრეთვე თანამედროვე კაპიტალის ფორმების განხილვას, ამაზედაც არა ერთი სტრიქონი, დაწერილა, არამედ უმთავრეს ყურადღებას, მივაქცევთ, იმას, რაც 1 წიგნის მთავარი მიზანი უნდა იყოს წინასიტყვაობის მიხედვით და თუ როგორ არის ეს მიზანი მიღწეული.

როდესაც სახელმძღვანელო წიგნი ვაჭრობაზე ლაპარაკობს, მას განსაზღვრული ამოცანა აქვს გადასაჭრელათ დასმული. სახელდობრ, ისა რომ გამოარკიოს ეს მოვლენა არა მის სტატისტიკურ მდგომარეობაში, არამედ ანალიზი უყოს ვაჭრობას, როგორც მთლიან ეკონომიურ ფაქტორს მის დინამიკაში. ავტორის აზრით ვაჭროია საქონლის მეურნეობის პირმშო შვილია; ისმება კითხვა. იყო თუ არა საქონლის მეურნეობამდე ვაჭრობა, თუ არსებობდა ერთგვარი სიცალიერე?

ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თანამედროვე აღებ-მიცემობა მე-12—15 საუკუნიდან იწყება და მანამდე არსებული ნატურალური მეურნეობა ბაზრისათვის იძლეოდა დამზადებული პროდუქტების სრულებით უმნიშვნელო ნაწილს. შემდეგ: „საქონლის დამზადების წარმოშობით იწყება თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარება და ამ კაპიტალიზმის პირველი წარმომადგენელი არის ვაჭარი". (იხ. გვ. 7.).

სრული სიმართლეა, რომ ვაჭარი თანამედროვე კაპიტალიზმის პირველი წარმომადგენელია, და ეს იმდენათ რამდენათაც ეს სუბიექტი წარმოდგენილი გვაქვს, რო-

საერთო ...ული, პიროვნება, რომლის ძირითად საქმიანობას შეადგენს ვაჭრობა, ანუ საქონლის ცვლის პროცესის დროს შუამავლობა. მაგრამ ეს ცვლა მანამდისაც არსებობდა. მას არ ქონდა მიღებული თანამედროვე ფორმა, არ არსებობდა პროფესიონალი ვაჭარი, თუმცა ესეც სადაოა, ვინაიდან ისტორიული ფაქტები ხშირათ სხვას გვეუბნება, ხოლო პროდუქტი პროდუქტზე იცვლებოდა. და რამდენათაც ამ მოვლენას ადგილი ქონდა, იმდენათ ვაჭრობა, როგორც სამეურნეო აქტი ხდებოდა.

მაგალითად, დაბადებაში ვხვდებით ასეთ ადგილებს. ისაია თავის წიგნში § 23 მოგვითხრობს, ფინიკიელი ვაჭრები მოგზაურობდენ ზღვით სიპორის ქირნახული და ნილოსის ხორბალი მოჰქონდათ ტიროსიზე და ის იყო ბაზარი კერპთაყვანისმცემლების-ო. ცნობილია, ფილოსოფოს პლატონის აზრი მსხვილ და წვრილ ვაჭრობაზე, (სახელმწიფო წ. II. ). აგრეთვე არისტოტელის უარყოფითი შეხედულება საგარეო ვაჭრობაზე, რასაც მოგების პრინციპის სიძლიერის გამო, „შერმატიზმის", ანუ ოჯახური ჰარმონიის დამრღვევს უწოდებდა ციცეროვანი არჩევდა მსხვილ და წვრილ ვაჭრობას. მათ შორის უკანასკნელს, რომელიც ვაჭრიდან ყიდულობდა შემდეგ გასასყიდათ, მატყუარად სთვლიდა, ვინაიდან მისი აზრით წვრილი ვაჭარი მოტყუებასვ გვერდს ვერ აუხვევდა. (ნიღილ პროფინციანტ, ნიზი ადმონდუმ მენციატურ.).

აქედან დასკვნა: ვაჭრობა, როგორც აქტი, ვაჭრობა, როგორც სამეურნეო ფაქტორი, ან ფუნქცია მეურნეობის ყველა ფორმებში არსებობდა. როდესაც ამ ცნების შინაარსის გარკვევა-განსაზღვრას მივუდგებით, ეს დებულება აუცილებლათ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ. რა არის ვაჭრობა?

ავტორი შემდეგ პასუხს იძლევა: „ვაჭრობა არის 1) საქონლის შესყიდვა - გაყიდვის მიზნით; 2) საქონლის არსებითი თვისების შეუცვლელათ, 3) რომელსაც ეწევა რომელიმე პირი ან ორგანიზაცია, როგორც პროფესიას".

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს განსაზღვრა მეტის-მეტად ვიწრო ფარგლებშია მოთავსებული. ეს ფორმულა ვერც თანამედროვე პროფესიონალურ ვაჭრობას ამოსწურავს. ამიტომ მას შემდეგი განსაზღვრა უნდა დაუპირდაპიროთ: ვაჭრობა არის სამეურნეო პროცესი, რომლის საშუალებით უნდა იქნას პროდუქტების ადგილ - მდებარეობითი სივიწროვე დაძლეული.

რას ნიშნავს ეს?

იმას, რომ პროდუქტს მიღებული აქვს საქონლის ხასიათი თუ არა, ვაჭრობის აქტის ამოცანას შეადგენს ის მწარმოებლიდან მომხმარებელს მააწოდოს, ეს უკვე საზღვრავს ვაჭრობას, როგორც ავტორის მიერ აღებულ საქონლის მეურნეობაში ისე მის ისტორიულ წარსულში. მთავარი არის საქონლის, ან პროდუქტის ნატურალურ მეურნეობაში, განაწილების ფუნქცია.

ვ. თევზაია არკვევს „რომელიმე საქმიანობა მაშინ ატარებს ვაჭრობის ხასიათს, როდესაც ის დაკავშირებულია საქონლის შეძენასთან იმ მიზნით, რომ შემდეგ ის გაასაღონ". (იხ. გვ. 11.).

ეს არ არის სწორი, ვაჭრობა როგორც ეკონომიური კატეგორია, ვაჭრობა როგორც სამეურნეო პროცესი მარტო იმით არ ხასიათდება, რომ შესყიდული იქნას ისევ გასასყიდათ, არამედ იმით, რომ მოხდეს ცვლის აქტი, რის მთავარი მიზანია განსაზღვრული სამეურნეო ფუნქციის ასრულება; საქონლის განაწილების შუამავლობა. ამიტომ უნდა განაწილდეს ორი მცნება, ვაჭრობა — გაგებული როგორც აქტი, და ვაჭრობა როგორც პროფესიონალური საქმიანობა, რაც თანამედროვე საქონლის მეურნეობის ნიშანდობლივ თვისებას შეადგენს და ბუნებრივად თანამედროვე სამართალში თავის დადასტურებას პოულობს.

როდესაც ვაჭრობის ცნებას განვსაზღვრავთ, აქედან ბუნებრივათ იჭრება კითხვები, რომლებიც ამ მცნებასთან არის დაკავშირებული:

1. ვაჭრობის ტეხნიკური პროცესი

2. ვაჭრობის ფორმები.

3. დამხმარე დარგები და შრომის განაწილება ვაჭრობაში.

4. სავაჭრო საწარმოები და მათი ფორმები.

ვ. თევზაიას მიერ მოცემული ტეხნიკური პროცესი მოკლეთ, მაგრამ სწორეთ არის გადმოცემული. ავტორი მოიკოჭლებს, როდესაც იძლევა სავაჭრო გარიგების ზოგიერთ სპეციალური ცნებების გარკვევას.

ვაჭრობამ ასეული წლების განმავლობაში მთელ რიგი პირობების მოკლეთ და სხარტულათ აღსანიშნავად გამოიმუშავა ჩვეულება ტცნებების მოკლეთ გამოსახატავათ. სწორეთ ამ ცნებების გადმოცემაში ავტორს შეცდომაში შევყავართ.

1. ის ამბობს: „ფრანკო — ეს საერთოდ ის ადგილია, სადაც გამყიდველმა უნდა ჩააბაროს მყიდველს საქონელი და ამ ადგილამდის საჭირო გადასატან ხარჯებს თვითონ კისრულობს". (იხ. გვ.17).

თუ ფრანკო ადგილს აღნიშნავს, რა საჭიროა ითქვას: „ფრანკო"?. სიღნაღის სამომხმარებლო კოოპერატივის საწყობში"? (იქვე)—არა. ფრანკო ნიშნავს საქონლის ფასს+გადასატანი ხარჯები+დაზღვევა და სხვა ხარჯები; საქონლის ჩაბარებამდე. ჩაბარების ადგილი კი სპეციალურათ აღინიშნება...

2. ფობ ანუ ინგლისურიდან ფრე ონ ბორდ შემოღებული ფობ არ ნიშნავს ფრანკო ხომალდის ბაქანს. ეს რომ ასე იყოს, ისევე შეიძლებოდა თქმა ფრანკო ხომალდი, როგორც ითქმის ფრანკო სადგური, საწყობი და სხვა. ფობ სიტყვა სიტყვით ნიშნავს: თავისუფლათ ხომალდის ბაქანზე. და წარმოადგენს ისევ ფასოვნობის კონდიციას. გამყიდველის ხარჯზე ხდება ყველა ხარჯები გემის ბაქნამდე, სადაც საქონელი ჩაითვლება მიღებულათ, გარდა გადატანის რისკისა, ანუ დაზღვევის ხარჯებისა, რაც მყიდველმა უნდა იკისროს.

3. ავტორის აზრით სიფ. აღნიშვნაა იმ ნავთსადგურის, სადაც საქონელი მიდის". (იქვე).

ესეც შეცდომაა. სიფ. არასოდეს არ აღნიშნავს ნავთსადგურს. ისიც ფასოვნობის კონდიციაა. სიფ შემოკლებულია ინგლისურ და ფრანგულიდან (ფრანგები სიფ-ის მაგიერ ხმარობენ „საფ"): და ნიშნავს: დაზღვევის ხარჯები და ფრახტი ფასშია ნაანგარიშევი.

მართალია ავტორი იძლევა მოკლე ცნობებს, მაგრამ ვფიქრობთ, მის მიერ დასახულ მიზნისათვის საჭირო იყო სხვა კონდიციების (რასაკვირველია მართლად) აღნიშვნა, როგორც მაგალითად: „სიფ და კ.", რასაც ადგილი აქვს საინდენტო გარიგების დროს. (ეს გარიგება ავტორს სრულებით არა აქვს დახასიათებული.). შემდეგ „სიფიკ", „ფრანკო კეი", „ფრანკო დომიცილ" „ფობ და ე". ყველა ეს მცნებები საგარეო ვაჭრობის დროს აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს.

ვაჭრობის თვით სამეურნეო ფუნქცია ისეთია, რომ მოითხოვს ერთგვარ ტერიტორიალურ განსაზღვრას. ვაჭრობა, რომელიც ერთ სამეურნეო ერთეულში ხდება და ვაჭრობა, რომელიც განსაზღვრულ სახალხო მეურნეობის ფარგლებს სცილდება. ანუ საშინაო და საგარეო ვაჭრობა. ეს შეადგენს ვაჭრობის შესწავლის ანბანს. ამის და მიხედვით, შენდება გარიგების ფორმებიც. ამიტომ მეთოდოლოგიურათ სრულებით მიუღებელია, სანამ ამ კითხვას გავარკვევდეთ, გარიგების ფორმებზე ლაპარაკი. ავტორი კი პირველ გზას ირჩევს და საგარეო ვაჭრობაზე იძლევა განმარტებებს წიგნის ბოლოში.

როდესაც ავტორი ვაჭრობის კატეგორიებს არკვევს, აღნიშნავს, ორ მთავარ ფორმას: მსხვილ და წვრილ ვაჭრობას. შემდეგ კი სცილდება ეკონომიურ მიმოხილვას და იძლევა ცნობებს ჩვენში არსებული სავაჭრო სამართლის მიერ შექმნილ სავაჭრო კატეგორიებზე. აქ კითხვა ისმება: ეს ხომ სამართლის საქმეა და ეს კი სხვას აქვს გაკეთებული? მაგრამ ამას დავანებოთ თავი. საკმარისია, თუ არა ვაჭრობის მხოლოდ ორ პირად დაყოფა?

წიგნის ვიწრო ფარგლების გამო, აქ შეიძლება ავტორისადმი დათანხმება.მაგრამ ვერასოდის ვერ გავიზ-

არებთ მის მიერ მხვილი ვაჭრობის განსაზღვრას. ის ამბობს: „ვაჭრობა საბითუმოა, როდესაც საქონელს ყიდიან პარტიობით, დიდი რაოდენობით, 2) ასაღებენ არა პირდაპირ მომხმარებელზე, არამედ ყიდიან შუამავალზედ“. (იხ. გვ. 12.). ნიშანდობლივ თვისებას საბითუმო ვაჭრობისა შუამავალზე გაყიდვას არ შეადგენს. საბითუმო ვაჭრობის მთავარ თვისებას შეადგენს შუამავლობა ვაჭრებსა და მწარმოებლებს შორის, ანუ როგორც ვანდერბორგტი ამბობს, ვაჭრობა — ვაჭრებთან და მწარმოებლებთან. პირწმინდა განსაზღვრა არც ეს იქნება, ხშირად ამ ფორმათა შორის სწორი ხაზის გავლება ძნელია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, სათანადო გაურკვევლობა მოხსენებულ წიგნში დაზღვევის საკითხის, რაც ვაჭრობის ერთ მნიშვნელოვან დამხმარე დარგთაგანს წარმოადგენს. ასეთივე შენიშვნა საგარეო ვაჭრობის შესახებ. მოყვანილ განმარტებიდან ვტყობილობთ ბევრ რამეებს, რაც უფრო ფინანსიურ მეცნიერების საკითხებს შეადგენს. (მაგალითად ბაჟების კლასიფიკაცია და სხვა), ხოლო ცნობებში, საგარეო ვაჭრობის ეკონომიურ მნიშვნელობაზე, და მის როლზე სახალხო მეურნეობაში მეტის-მეტად ბუნდოვანობაა, უკეთ რომ ვსთქვათ თითქმის არაფერია გარკვეული, გარდა ტექნიკური მხარეებისა.

დასასრულ საჭიროთ მიგვაჩნია მიუთითოთ წიგნის დაყოფაზე. სხვადასხვა თავებს შორის ორგანიზაციული კავშირი არ არსებობს, რაც იქვს გარეშეა სახელმძღვანელო წიგნისათვის ნაკლს შეადგენს. რამდენათაც ავტორს ნაატომები დაშვებული არა აქვს და შრომა ვიწრო ფარგლებშია გამოცემული, რასაკვირველია მისი მნიშვნელობა უდავოა. უნდა ვიმედოვნოთ, რომ მომავალი გამოცემისათვის (თუ ამ მოვალეობას ავტორი ხელ-ახლა იკისრებს), წიგნი უფრო ფართო მასშტაბით გამოიცემა და სადაო პრობლემებს უფრო მკაფიოთ, ნათლად და მთლიანად გააშუქებს.

„მოცელ“.

**როდიონ ქორქია**

# ყველაფერზე ძვირფასი

*ძღვნად პ. ბ—ს.*

1.

როდესაც პირველი რევოლიუცია დამარცხდა, ყველა ისინი, ვინც რევოლიუციის გაზაფხულისას გამარჯვების მუსიკას აყვნენ, მიიმალნენ, გუშინდელ ოცნებას ფეხი დააბიჯეს და ხატითა და ჯვარით ფიცულობდნენ, რომ ისინი „ისინი არ არიან“.

ეს ყოველთვის ასე ხდება: გამარჯვებულთან ყველა მიდის, დამარცხებულს ბევრი გაურბის.

როდესაც წითელმა დროშამ იმპერიის სამფეროვანი დროშა დახარა, ყოველი ბედის მაძიებელი გმირობას ჩემულობდა, ხოლო როდესაც ორთავიანმა არწივმა ისევ გაშალა ფრთები და გამოყო ბრჭყალები, წუთის გმირები და ბედის მაძიებელნი ლაჩრობაში და სიბინძურეში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

ნასაკირალზე ჯერ კიდევ არ გამშრალიყო გურიის სისხლი და იმერეთის გადამწვარ სოფლების ნაკვერცხლები ჩამქრალი არ იყო, რომ თბილისში, ნაძალადევის ერთ ყრუ და დარაბებ დახურულ ოთახში, შეიკრიბნენ ისინი, ვისაც დაემსხვრათ ოქროს იმედები, ვინც გუშინ თვალუწვდენელ სიმაღლეზე იდგნენ და ვინც უწყალო ბედმა ისევ სარდაფში ჩაიყვანა.

წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ, დარჩნენ ქვიშანი და იმ ქვიშებზე იმ ღამეს, იმ ყრუ და დარაბებ დახურულ ოთახში ბრწყინავდა ბევრი მარგალიტი.

ისხდნენ ეს რჩეულნი და მწარე ფიქრებსა ფიქრობდნენ.

ოთახში ისეთი სიჩუმე იყო, როგორი სიჩუმეც მხოლოდ მიცვალებულის კუბოსთან იქნება. ჩამწვარ გუგებში ჩაბნელებული თვალები ოდნავ მოსჩანდნენ, ტუჩები არ იხსნებოდნენ, მაგრად შეკუმშულან მუშტები და შუბლებზე იმდენი ნაოჭები იყო დახლართული, რამდენი დაუტირალი საფლავი ჰქონდა დამარცხებულ რევოლიუციას.

იმ ღამეს, იმ ოთახში, კვლავ დარწეულ იქნა შორეული გამარჯვების აკვანი, ერთმანეთთან შეყრამ კვლავ ააგუზგუზა ბრძოლის ცეცხლი დამარცხებულ მკერდებში, შურისძიებამ კვლავ დაბადა ძალა უდრეკი, ქედუხრელი და მაღალი.

ჰო, დამარცხებულთათვის შურისძიება მატერიალური ძალაა.

და როდესაც მომავალი მუშაობის გეგმა შეადგინეს და ყველამ აიღო თავისი წილი მუშაობისა, თავმჯდომარემ სთქვა:

— მაშ ასე, ამხანაგებო! მტკიცედ რიგები. არავითარი უყევა. მომავლის იმედმა მოჰკლას ახლანდელი უიმედობა. მუშათა კლასი ზღაპრული ანთეოსია. გახსოვთ, ალბათ, ბერძნების ლეგენდარული გმირი ანთეოსი. ვერავინ ვერ შესძლო მისი დამარცხება, რადგან ვინც ანთეოსს სძლევდა, მიწაზე დასცემდა ანთეოსს. მიწა კი, გეა, ანთეოსის დედა იყო. და როგორც დედა, გეა ანთეოსს ძალას მატებდა. და წამოდგებოდა კვლავ ანთეოსი მეტის ძალ-ღონით და ამარცხებდა მტერსა. ასეთი ანთეოსია მუშათა კლასი. ჩვენი დედაკი ჩვენი ცრემლიანი სინამდვილეა. რამდენიც არ უნდა დაგვანარცხონ მიწაზე, მწარე სინამდვილე ძალას გვმატებს, რადგან ვიცით არავინ არ არის ჩვენი დამხმარე გარდა ჩვენი საკუთარი თავისა. ისტორიაში ასე ყოფილა მუდამ: დამარცხების შემდეგ რევოლიუცია კვლავ ამდგარა გაასკეცებული ძალით, როგორც ზღაპრული ანთეოსი და დაუძლევია მტერი.

რჩეულნი იდგნენ და უძირო ზღვასავით ღრმა სიყვარულით უსმენდნენ მეთაურს.

მრავალნაირია სიყვარული: მშობლიური, შვილური, და-ძმური, მეგობრული, სქესობრივი. ყველაზე ღრმაა დედის სიყვარული, ყველაზე გიჟია ვნებით დარხეული სიყვარული.

მაგრამ ის სიყვარული, რომელსაც ქმნის სარდაფში რწმენა ციხისა და სიკვდილის შიშს ქვეშ, ის სიყვარული, რომელმაც არ იცის პიროვნება და იცის მთელი, რომელსაც ადამიანი სიმღერით მიყავს ბარიკადებზე და წარბ უხრელად აყავს სახრჩობელაზე, ყველა სიყვარულზე დიდია და ლამაზი.

აი, ასეთი სიყვარულით უმზერდნენ იმ ღამეს იმ რჩეულნი იმ მეთაურს. და თუმცა მზის ამოსვლამდე ჯერ კიდევ შორს იყო, მაგრამ მათ მკერდებში გაფართოვდნენ გულები სიცოცხლით სავსე და სინათლის მფრქვევი მზეებად.

ბედნიერია ვინც მზეს ატარებს მკერდში.

— მაშ ასე, ამხანაგებო!—დაამთავრა მეთაურმა.—ბრძოლა მსხვერპლს ითხოვს, მსხვერპლი გამარჯვების ხიდია. მტკიცედ რიგები. არ შეგვაშინოს ციხემ და ციმბირმა. რწმენა რომ არ იყოს ციხეებიც არ იქნებოდა. მომავალი მუშათა კლასს ეკუთვნის და დაინგრევა ბილწი რეჟიმი. ბილწი თვითმპყრობელობისა...

თითო თითოდ გამოვიდნენ იგი რჩეულნი დარაბებ დახურულ ოთახიდან. ფრთხილად, ჩუმად, ლანდებივით მიიპარებოდნენ ღამის სიბნელეში. ბევრი არ დაბრუნდა იმ კრებიდან სახლში. პირდაპირ ფარულ ბინებზე წავიდნენ. და იმათ რიცხვში იყო დავით ძველიშვილი.

დავით ძველიშვილმა ისევ მეორე სახელი დაირქვა: ნოდარი.

## II.

ვინ იცის რამდენჯერ მოკვდა და ისევ იშვა მთვარე. რამდენჯერ აყვავდნენ ხეები და დაჭკნენ ფოთლები, რაოდენმა გმირმა შეალო მეტეხის კარები და რამდენი კუბო გამოიტანეს იქიდან, რამდენჯერ შეიღება სისხლით ქარხნის ეზოები, ნოდარი კი ისევ დარაბებ დახურულ ოთახებში იჯდა, მებრძოლთ ამხნევებდა რიგებს აწყობდა, მომავალ ბრძოლისათვის სწრთვნიდა და ამზადებდა.

თარეშობდნენ ბოქაულები, ილხენდნენ ჟანდარმები, ტყლაშუნობდნენ მათრახები, კვნესოდნენ მაშვრალნი, ნოდარი კი უმზეო სარდაფიდან იბრძოდა მზის ამოსაყვანად.

უცნაურად მოეწყო ცხოვრება: თითქოს ცხოვრება ვეებერთელა, მრავალსართულიანი სახლი იყო. ქვედა სართულებში მშიერ - მწყურვალნი და შიშველ-ტიტველნი შრომობდნენ, ოფლს და ცრემლებს ღვრიდნენ, ზედა სართულებში კი მაძღარნი ამ ოფლსა და ცრემლებს ოქროთ ადნობდნენ და ფარჩათ ქსოვდნენ. და ბრჭყვიალებდნენ ზევით ოქრო და ფარჩა. ხოლო დაბლა ტანჯვის ოფლი სისხლათ დიოდა.

ივსებოდა მთვარე და ისევ ილეოდა, ამწვანდებოდნენ ხეები და ისევ სჭკნებოდნენ, და ნოდარის შავს თმებში თეთრი ძაფებად წვებოდნენ განვლილ წელთა ბრძოლა და ჭიდილი.

და ერთხელ, როცა ნოდარი იჯდა დარაბებ დახურულ ოთახში, მომავლის გეგმებს აწყობდა, დაუბრუნებელი გზით წასულთა რიცხვს ითვლიდა და ახლათ შემატებულთ შეხაროდა, დიასახლისმა მოახსენა:

— ნოდარ, ახალი კავშირია. ჯერ არ მინახავს.

— ჰკითხეთ ნიშანი.—სთქვა ნოდარმა.

— დროშა. — უთხრა დაბრუნებულმა დიასახლისმა.

— შემოუშვით.

ოთახში შემოვიდა თვრამეტი წლის ქალი, სქელ ტუჩებიანი, ხშირი თმიანი, გაშლილ დროშასავით ფართე თვალებით, ნიკაპზე შავი ხალი ჰქონდა, ყურებში საყურეები და მარცხენა ხელზე ოქროს სამაჯური.

ნოდარმა აათვალ-ჩაათვალიერა ქალი და არ მოეწონა. არ მოეწონა ქალის მდიდრული მორთულობა, საყურე, ოქროს სამაჯური, ტიტველი გამომწვევი მკერდი და უცნაურად ქინიანი ნიკაპი.

ქალმა იგრძნო, რომ მან ნოდარის ცუდი გრძნობა გამოიწვია და თავი იმართლა.

— მე გიორგიმ მითხრა ასე მოვრთულიყავი.

ნოდარს გაეცინა. იცოდა გიორგის გადამეტებული შიში და თავდაცვის ზომები, რომლებიც ხშირად კურიოზულ სახეს იღებდენ. ისევ დააცქერდა ქალსა და მოეწონა

ქალმა წერილები გადასცა. ნოდარმა იგი წერილები წაიკითხა და დასწვა, შემდეგ პასუხის წერა დაიწყო.

სანამ ნოდარი პასუხსა სწერდა, ქალი დააკვირდა ნოდარსა: ნათელი, ოთხკუთხი შუბლი, თმა რბილი და აჩეჩილი, პრტყელი, თხელი, მკაცრი ტუჩები, ჭკვიანი და თითქოს სხივოსანი თვალები და წარბებ შუა ორი ნაოჭი.

და უცნაური რამ წარმოუდგა ქალსა: თითქოს იგი უზარმაზარი მთის ძირას დგას. თვალუწვდენელ სიმაღლეზე აქედილა მთა, იმ მთის მწვერვალზე დგას ნოდარი. ქალი კი დგას დაბლა და ისე პატარაა, როგორც ნასარა. ძლივს ხედავს ნოდარსა.

როდესაც ნოდარმა წერილი გადასცა უთხრა:

--- თქვენ აქედან პირდაპირ გიორგისთან არ წახვიდეთ. გაისეირნეთ, გამოისეირნეთ. გიორგის ბინას რომ მიუახლოვდეთ, რამე დააგდეთ ქუჩაზე, თითქოს უცაბედათ დაგივარდათ. ასაღებათ რომ დაიხაროთ, უკან მოიხედეთ, არავინ საეჭვო არ გიყურებდეთ.

— მესმის,და ქალმა გაიღიმა.

გაიღიმა ნოდარმაც.

გაუკვირდა ქალს. სიცილმა სრულიად შესცვალა ნოდარის სახე. წარბებ შუა ნაოჭები გაიხსნენ, თვალებმა სხივები ამოაფრქვიეს და თხელმა მკაცრმა ტუჩებმა უცნაური სითბო ამობერეს.

— თქვენი სახელი?—ჰკითხა ნოდარმა ქალს.

— თინა.—უპასუხა ქალმა.

## III.

როდესაც მქშინავმა თბილისმა ღამის ფრთის ქვეშ თვალები დახუჭა, თინა დაჯდა ფანჯარასთან, რაფას დაეყრდნო და ფიქრებს მიეცა. თინა ფიქრობდა ნოდარზე, თავის თავზე, მთვარეზე, ცხოვრებაზე, და იმაზე, რითაც ცოცხლობს ყოველი ადამიანი.

— რამდენი ხანია რაც ნოდარი ვერ ხედავს მზის სხივებსა? რამდენი ხანია რაც ნოდარი მხოლოდ მთვარეს შეჰყურებს, მოშორებულია მეგობრებსა და ნაცნობებს:? ნეტავი თუ უყვარდა ვინმე! ნეტავი იცოდეს თინამ, ახლა ვინ უყვარს ნოდარსა? რა სისულელეა, განა ახლა ნოდარს სიყვარულისათვის სცალიან? ნოდარი ახლა თავის თავს არ ეკუთვნის, ნოდარი ახლა ყველასია, ყველასი

— არ შეიძლება უსიყვარულოთ ცხოვრება...

სად გაიგონა, სად წაიკითხა ეს თინამ?

არ იცის, არ ახსოვს. მაგრამ როცა დააკვირდა კარჩაკეტილ განმარტოებას, თანდათან უცნაურმა რწმენამ შეიპყრო თინას გონება და იგი გონება ეუბნება მას:

— არ შეიძლება უსიყვარულოდ ცხოვრება.

და ფიქრობს თინა:

— მთვარის სხივებზე ლეგა ღრუბლები თამაშობენ. შემდეგ იგი ღრუბლები მიდიან შორს, შორს, უცნობსა და უსაზღვრო სივრცეში, ხოლო მთვარე ისევ ისე კაშკაშებს. ასეა ცხოვრებაც: ადამიანები ხვდებიან ერთმანეთს ღრუბლებივით, შემდეგ ისავე ღრუბლებივით იფანტებიან, სამუდამოთ შორდებიან ერთმანეთსა. ცხოვრება კი ისევ ისე ციალობს, როგორც ეს მთვარე და ამას ეწოდება ბრძოლა და ჭიდილი.

კიდევ ფიქრობს თინა:

— მერე სანამდე გასტანს ეგ ბრძოლა? ბოქაულები და ჟანდარმები ისევ ისე თარეშობენ, მდიდრები ისევ ისე დაათრევენ ღიპიან მუცლებსა,ღარიბები კი შიმშილითა კვდებიან. რამდენი მოკვდა შორეულ ციმბირში, კატორღაში, რამდენი? ახ, რა საზიზღარია ის მეფე, რომელსაც თავზე ოქროს კათხა ახურავს, ან რა ბინძურია ის ხუცესი, რომელიც ქადაგებს:

— „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი და აკურთხევდით მწყევართა თქვენთა“.

როგორ შეიძლება ჯალათების შეყვარება? ნოდარი ამბობს: ჩქარა ადგება მუშათა კლასი და გაიმარჯვებს რევოლიუცია... როდის იქნება ეს, როდის? ნოდარს უთეთრდება თმები, რევოლიუცია იგვიანებს.

და თინას შუბლზე ფიქრები ნაოჭებად ინასკვებიან.

გაახსენდა თინას:

გასულ კვირას ქუჩაში მიდიოდა. დაინახა, ერთ ადგილას ხალხი შეჯგუფებულიყო და იმ ადგილიდან გმინვა და ღმუილი მოისმოდა. თინა გაეშურა იქითკენ და ნახა: ერთ მეკურტნეს ორი ჩაფარი ჩასჭიდებია და ხმლებითა სცემდნენ. ბოქაული კი აქეზებდა:

— დაჰკარით! კიდევ, კიდევ!

მეკურტნეს ხალათი შემოხეული ჰქონდა, პერანგი კი არ ჰქონოდა. ხმლებისაგან ნაცემი ხორცი ჯერ დაულურჯდა, შემდეგ დასკდა და სისხლი წამოვიდა. მეკურტნე ღმუოდა და იძახოდა:

— არ წავალ პოლიციაში.

— დაჰკარით! კიდევ, კიდევ!—ბრძანებდა ბოქაული.

უცებ ხალხი გაირღვა. ხუცესი მოდიოდა. შეხედა ხუცესმა მეკურტნეს და ჩაიარა, თითქოს ძაღლს სცემდნენ იგი ძაღლები.

— ბინძური!—ჩაილაპარაკა ერთმა ქალმა,—ჯვარი ჰკიდია და ამ სისაძაგლეს ჩაუარა.

გაახსენდა ეს თინას და ზიზღით ამოიძახა·

—ბინძური!

ჰო, ასეთ უსამართლობას ებრძვის ნოდარი და ამიტომ მოკლებულია ის მზის სხივებსა. ნეტავი, რა გაახარებს ახლა ნოდარს? რით შეიძლება მისი დატკბობა, გაცინება? ან სად არის ახლა, ამ ღამეს?

უკვე ერთი თვეა რაც თინას არ უნახავს ნოდარი კავშირი შესცვალეს და თინა გაანთავისუფლეს. და სწორედ მაშინ, როცა თინა გაანთავისუფლეს, თინას დაებადა ნოდარის ხშირად ნახვის სურვილი.

და მოაგონდა თინას:

უკანასკნელად, როდესაც ის ნოდართან იყო, მეზობელ ოთახიდან მოისმა ჩურჩული. შემდეგ ჩურჩული სიცილად შეიცვალა. ორნი იცინოდნენ: ერთი იყო ქალი და მეორე ვაჟი.

— გენაცვალე!—მოისმა ქალის ხმა და ნოდარის ოთახის სიჩუმეში შემოიჭრა გრძნობით სავსე კოცნია ეხო, მერე იგი სიცილი ისევ ჩურჩულით შეიცვალა და ესმოდა თინას, ქალის ათრთოლებული ხმა:

— არა... არა... ა;;;ა;;; გენაცვა:::

შემდეგ იგი ხმაც მისწყდა და კედელს იქითა სიჩუმე უცნაურად სუნთქავდა.

თინა იჯდა თავდახრილი, გაწითლებული. ნოდარი კი წერდა და თინას არ უყურებდა. ერთი ნაკვთიც არ შერხეულა ნოდარის სახეზე.

ზის ფანჯარასთან თინა და განაგრძობს ფიქრებს:

— რა ვარ მე? უბრალო მომაკვდავი, სულ უბრალო. წერილების მიტანა ფოსტალიონსაც კი შეუძლიან. ახლა ამასაც არა გშვრები. სირცხვილია ადამიანმა მხოლოდ საკუთარი თავისათვის იცხოვროს. რად ღირს სიცოცხლე უცვალო, უფერული? რად არ უნდა გავბედო? რატომ? სიცილ დაკარგულ ადამიანისათვის თუ შეიძლია ერთხელ მაინც სიცილის დაბრუნება, რატომ არ გავბედო? მე ფოთოლი ვარ, უბრალო ხის ფოთოლი. ვინ იცის, რომელი ქარი საით გადამისვრის! და რატომ არ გავბედო? ჰო, რატომ არ გავბედო?

ქალი წამოდგა. რაღაცა გადაწყვეტილება მიიღო. [illegible] ლურჯ ცას სიყვარულით სავსე თვალები გადაავლო. შემდეგ ფანჯარა დახურა და ბალიშზე დაემხო. დაემხო და ქვითინი აუვარდა.

IV.

თინამ შეიტყო ნოდარის ახალი ბინა და წერილი გაუგზავნა ნოდარს. თინა თხოვდა: პირადი საქმე მაქვს, მიმიღეო. ერთი კვირის შემდეგ თინას პასუხი მოუვიდა. ნოდარი სწერდა გელით.

ნოდარმა ვერ იცნო თინა. სადათ ჩაცმული, საყურეპ მოხსნილი, სამაჯური ახსნილი, თმები ნაწნავებათ დაგრეხილი, არ გავდა იმ თინას პირველად რომ მივიდა ნოდართან.

— როგორ გამოცვლილხართ, თინა!—ღიმილით შეეგება ნოდარი.

თინამ არა უპასუხა რა. მხოლოდ ხელი გაუწოდა და ნოდარმა იგრძნო, როგორ თრთოდნენ ქალის თითები.

ჩამოვარდა სიჩუმე.

ნოდარი ბოლთასა სცემდა, თინა კი იჯდა, უცნაური გამომეტყველება ჰქონდა სახეზე და ალერსიან თვალებში რაღაცა დიდი, [illegible]რებულ და შიშიანი უკრთოდა.

— რამ მოგიყვანა, თინა?—შეეკითხა ნოდარი.

თინას მოაგონდა მთვარიან ღამეში ნაფიქრი, მოაგონდა თავის თავთან საუბარი. გაახსენდა, რომ უსიყვარულოდ ცხოვრება არ შეიძლება, რომ ადამიანი ერთხელ მაინც უნდა აყვავდეს თავის სიცოცხლეში, რომ სირცხვილია, როცა ადამიანი ხის ფოთოლს დაემსგავსება და ქარის კაპრიზის მონა გახდება. გაახსენდა თინას საკუთარი თავს რომ შთააგონა:

— სირცხვილია ადამიანმა მხოლოდ საკუთარი თავისათვის იცხოვროს.

ამ მოგონებამ თინას მაღლა ააწევინა თავი და თინამ ჰკითხა ნოდარს:

— ნოდარ, როდესაც ადამიანი დარწმუნებულია თავისი ნაბიჯის სისწორეში, უნდა თუ არა გადადგას მან ეს ნაბიჯი?

— ყოველთვის.—მოკლეთ, უპასუხა ნოდარმა.

— ყოველი ადამიანი თავისი გზით მიდის. არავის არა აქვს უფლება მოუჭრას მას ეს გზა.—ამბობს თინა.

— თუ კი ეს გზა სხვა ადამიანებსზიანს არ აყენებს,—გაუსწორა ნოდარმა.

— ჰო... ჰო..;—განაგრძობს თინა;—ზოგს სიცოცხლე მიაქვს თავისი იდეის სამსხვერპლოზე, ზოგს ნიჭი, ზოგს კიდევ გული. იმის და მიხედვით, თუ ვის რა აქვს.

— რასაკვირველია, თინა!—რბილათ ეუბნება ნოდარი.

თინა შეჩერდა. სუნთქვა შეეკრა. მეტი ვერა სთქვა რა და ცრემლები ღაპა-ღუპით გადმოსკდა.

ნოდარი მიუახლოვდა. ალერსით თმებზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა:

— რა გატირებს, თინა?

თინამ ათრთოლებული ხელები ნოდარის ხელებს ჩაავლო და იგი ხელები თავისი ცრემლებიან თვალებზე მიიფარა. მერე იმ ხელებს ლოყით დააწვა და სთქვა:

— შენ ბევრი მიგაქვს სამსხვერპლოზე, მე კი გულის მეტი არა მაქვს რა. და ეს გული შენ მოგიტანე.. შესაწირავად.

ნოდარმა დაიხია და შეხედა თინას. თვალები თვალებში ჩასძირა.

შეკრთა თინა. არასოდეს არ უნახავს მას ნოდარი ასეთი.

ნოდარის ნათელი შუბლი მოიღუშა, რბილი თმები თითქოს ნემსებივით გამაგრდნენ; პრტყელი, თხელი, მკაცრი ტუჩები ისე შეიკრნენ, თითქოს შეხორცდნენ ეს ტუჩები, მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი ღარი დარჩა ნიკაპს ზევით; ჩაღრმავდა წარბებს შუა ორი ნაოჭი და თვალები ღრმად ჩაწვდნენ გუგებში.

და მოელანდა თინას, თითქოს ნოდარი გაიზარდა, ისე გაიზარდა, რომ ვერ ეტევა ოთახში, თითქოს უნდა აიხსნას ჭერი, რომ გზა უტიოს ნოდარის სიმაღლეს. თინამ ინსტიქტიურად თვალები ჭერს მიაპყრო და მოეჩვენა თინას, თითქოს ჭერმა აიწია ზევით, ზევით, თვალუწვდენ სიმაღლეზე.

იმ ზევიდან, იმ თვალუწვდენ სიმაღლიდან მოესმა თინას:

— თინა, ქალში ქალის გარდა კიდევ არის სხვა რაღაცა. გახევდა თინა. ეს რა სთქვა ნოდარმა?

აცახცახდა თინა. თითქოს შიგ, მკერდში, გუზგუზა ცეცხლი აინთო და იმ ცეცხლის ალში გაეხვია ქალი.

გაახსენდა: ერთხელ,მეზობლის ბავშს ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლი ისე მოედო ტანს,რომ დედამ ვერ ჩააქრო.იდგა საცოდავი ბავში და გულშემზარავად მოსთქვამდა:

— დედა, მიშველე!...

იწვოდა ტანი. დასქდნენ ხელები, უყურებდა ბავში თავის ხელებს და ტიროდა. დედას მიეშველენ. ექიმი მოვარდა და გადაარჩინა ბავში.

აი, ეს გაახსენდა თინას. ახ, რა ყოფილა სირცხვილის ცეცხლი: თითქოს თინას ტანიც იმ ბავშივით იწვის. მხოლოდ ვის სთხოვოს თინამ:

— დედა, მიშველე!?

— ჰო, თინა, ქალში ქალის გარდა კიდევ არის სხვა რაღაცა,—გაიმეორა ნოდარმა.

და იგრძნო თინამ, მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ ყოფილა კიდევ სხვა ქვეყანა, უფრო დიდი, უფრო ძლიერი, უფრო დამპყრობი, ვინემ ის, რაც მან მოუტანა ნოდარს თავისი კალთით.

გაგანიერდა ქალის მკერდი, თითქოს გაიზარდა თინა. თითქოს ახლად იშვა თინა.

ჩაჰქრა სირცხვილის ალი, თავი მაღლა ასწია და თვალი გაუსწორა ნოდარსა იმ ახლად შობილმა.

ნოდარი კი იდგა, ილიმებოდა და ახლად შობილ ადამიანს ეუბნებოდა:

— ეს სხვა რაღაცა ყველაფერზე ძვირფასია, ამხანაგო!

# ლენინის უბანი

ბევრს ლაპარაკობენ და ძალიან ბევრი იწერება ჩვენს პრესაში თბილისის კეთილმოწყობის შესახებ. ყველაფერი ეს სინამდვილეა: გაფართოებული და გამშვენიერებულია ქუჩები, გაშენებულია ახალი ბაღები, გაყვანილია ტრამვაის ახალი ხაზები, გაშენებულია მრავალი მუშათა საცხოვრებელი ბინები და რამდენი სხვა, მაგრამ განაპირა უბნებში და განსაკუთრებით ნაძალადევში, შედარებით, ცოტაა გაკეთებული და უმთავრესი ყურადღება აქვს მიქცეული ქალაქის ცენტრალურ ნაწილს.

მაგალითად: ავიღოთ კოოპერატიული დარგი. მთელს უბანში მხოლოდ ორი კოოპერატიული დუქანია გახსნილი, როდესაც მის გარშემო სოკოებით არიან შემორტყმული კერძო სავაჭროები და რამდენიმე ათეულს აღემატება მათი რიცხვი.

ნუ თუ არ შეიძლება ამ უბანში კოოპერატიული ქსელის გაფართოვება, დუქნების გამრავლება? შეიძლება და ძალიან საჭიროც არის, მაგრამ კოოპერატიული გამგეობა არ იწუხებს თავს ამაზე, არ აქცევს ყურადღებას გარეშე უბნებს, რომ მეტი დახმარება გაუწიოს განაპირა უბნების მუშა-მოსახლეობას.

ძნელი აღსაწერია ის გაჭირვება, ის ვაი-ვაგლახი, რაც უნდა გადაგხდეს კოოპერატივში რაიმეს შესაძენად, საათობით რიგში დგომით და სხვა. ხშირ შემთხვევაში კოოპერატივში სრულებით არ იშოვება ისეთი სურსათ-სანოვაგე, რომელიც ძალიან ბევრია ბაზარზე, არც კოოპერატივებშია მათი ნაკლებობა და იძულებული ხდები, რომ კერძო ვაჭართან მიხვიდე ან და დეზერტირის ბაზარზე წამოხვიდე. ის ორი დუქანიც, რომელიც არის გახსნილი, იმდენად ვიწროა, რომ ოცი კაცი ვერ დაეტევა, რაც მუდამ რიგს იწვევს და ამ სიცივე-ყინვებში გარედ გიხდება გაჩერება

თუ ცენტრალურ უბნებში, ერთი მეორეს მისდევენ კოოპერატიული სავაჭროები, ლენინის უბანში არ უნდა განისაზღვრებოდეს ორით.

აუცილებელი საჭიროა, რომ სათანადო ორგანოებმა მიაქციონ ამას ყურადღება და ეს ნაკლი, დეფექტი, რაც მხოლოდ უყურადღებობით არის გამოწვეული და საზოგადოებაში შეიძლება უკმაყოფილება შექმნას, აცილებულ იქნას. კოოპერატიული ქსელი იმდენად უნდა გაფართოვდეს ამ უბანში, რომ ყველამ იგრძნოს კოოპერატივის დახმარება და ძლიერება.

არ იქნებოდა ზედმეტი, რომ მოეწყოს მოძრავი დუქნებიც, რომლებიც მიაწოდებენ სურსათ-სანოვაგეს ისეთ მივარდნილ კუთხეებს, სადაც საზარალო იქნება სავაჭროების გაღება. ამჟამად კი ამ კუთხეებისათვის რძის მიწოდებაც არ არის მოგვარებული. ერკოპის მერძევეები არ იწუხებენ თავს დაშორებულ კუთხეებში წასვლით.

ამას გარდა, რატომღაც ერთხელაც არ მოსვლიათ ფიქრში, რომ ლენინის უბანშიც გამოეტარებიათ ერკოპის ან ტრესტის ნახშირი და გაეხსნათ შეშის საწყობი. დროულია, რომ ამაზეც იფიქროს, ვისაც ეს ეხება, და ლენინის უბანსაც მიაწოდონ შეშა, ნახშირი და რძე.

ეხლა ქუჩების შესახებ. არც ამ მხრივ არის სანუგეშო მდგომარეობა. ზოგიერთი ქუჩები ისე წამხდარია, რომ კარგი ვაჟკაცობა უნდა ავდრიან ამინდში მათ გადავლას, ამ ქუჩებზე მშვიდობით გასვლას. ჩერქეზიშვილის ქუჩიდან დაწყებულ ზემო ნაწილს, სადაც არიან დასახლებული რკინისგზელი მუშები, გარდაუვალი ხრამებით, რაც ყოველგვარ სიბინძურითაა აქოთებული, დიდი შეცდომა იქნება, რომ ქუჩა დაუძახოთ.

სამჯერ მეტი ფასი უნდა გადაიხადო და დიდი პატივისცემა იქნება, რომ მეურმე წამოვიდეს ამ კუთხეში.

ამის შესახებ არა ერთხელ დაიწერა ჩვენს პრესაში, საბჭოს წევრებმაც დაათვალიერეს, ნახეს, ადგილობრივ გაეცნენ ამ სინამდვილეს, მაგრამ საქმეს მაინც ვერაფერმა უშველა, არავითარი რეალური ნაბიჯი არ გადადგმულა. ქუჩების თუ კაპიტალური გაკეთება დიდ ხარჯებს მოითხოვს, არ იქნებოდა ზედმეტი, რომ ხრამები მაინც ამოევსოთ და ნაწილობრივ მაინც შეემსუბუქებიათ ხალხის მდგომარეობა.

ლენინის უბანში, სადაც 25.000 მეტი მცხოვრებია, რატომღაც, არავინ ზრუნავს ბაზრის აშენებაზე და იძულებული ხარ, რომ „დეზერტირკაზე“ წამოხვიდე, ან და ჩარჩ-ვაჭრებისაგან იყიდო სურსათ-სანოვაგე. არ იქნებოდა ზედმეტი, რომ ამაზედაც იზრუნებდეს ვინმე, რაც ძალიან დიდ დახმარებას გაუწევდა ლენინის უბნის მცხოვრებს...

ისეთი მდგომარეობაა დღეს შექმნილი, რომ ლენინის უბანში, არ შეგიძლია ექიმის წაყვანა, არა თუ ფეხით, არამედ ეტლითაც, რადგან არ იცის, რომ ქუჩებში არ დაიმტვრევა და მეეტლეც ხომ ერთი სამად გახდევინებს ფასს.

კიდევ ფაქტების მოყვანა და აღნიშვნა უნდა იყოს საჭირო. მე მგონია, რაც ცოტას დავწერთ, ნაკლებს ვილაპარაკებთ და მეტს გავაკეთებთ, უკეთესი იქნება. ეს თვისება კიდეც ახასიათებს საბჭოთა ხალისუფლებას და ეს უნდა გავრცელდეს ჩვენს უბანზედაც.

სრული იმედი გვაქვს, რომ აღმასკომი მიიღებს საჭირო ზომებს ნაკლის გამოსასწორებლად და ლენინის უბნის გასამშვენიერებლად.

უმოღთელი.

# კიდევ ოკრიბის მხარის გასაჭირზე

არა ერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, რომ ისეთი ჩამორჩენილი კუთხე კულტურულად და ეკონომიურად არ მოიპოვება მთელ საქართველოში, როგორც ოკრიბის რაიონი. გასაბჭოებამდე აქ არ მოიპოვებოდა ერთი ხეირიანი სკოლა. სხვა რამე კულტურულ დაწესებულებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. თუ ვინმე ამ კუთხის შვილი რაიმე ცოდნას შეიძენდა, ის სოფელს არ უბრუნდებოდა, სოფელი სულ რჩებოდა არა თუ უინტელიგენტოთ, უბრალო წერა-კითხვის მცოდნეც კი აქ იშვიათ გამონაკლისს შეადგენდა.

ამრიგად, ეს მხარე, მიუხედავად იმისა, რომ იგი გაცილებით ახლო არის კულტურის ისეთ ცენტრთან, როგორიც ქუთაისია, ყველა დასავლეთ საქართველოს მაზრებთან შედარებით, იდგა და სამწუხაროდ დღესაც დგას დაბლა განვითარების მხრივ.

ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ეს მხარე მუდამ უყურადღებოდ იყო მიტოვებული და სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ მას ჯერაც არა აქვს მიქცეული ჯეროვანი ყურადღება. ამას დაურთოთ წარმოუდგენელი ეკონომიური სიღატაკე და თქვენ გექნებათ წარმოდგენა ოკრიბის გლეხობის მდგომარეობაზე.

კარგად ვიცნობ ამ მხარეს, ვიცნობ აქაური გლეხის ჭირ-ვარამს და ვამბობს, რომ ოკრიბაში არ მოიპოვებოდა და დღესაც არ მოიპოვება ასიდან ხუთი, რომელსაც მოსდიოდეს სამყოფი სარჩო სიმინდი. გლეხობის 95 პროც. ყოველ წლობით ყიდულობს სიმინდს სამიდან შვიდი თვის განმავლობაში. და ეს მაშინ, როდესაც გლეხი მთელი თავის ოჯახით, ხუთი წლის ბავშებიც კი, დილიდან საღამომდე განუწყვეტლივ შრომას ეწევა ხოლმე. მისი შრომა არასოდეს არ ჯილდოვდება, ის მუდამ ყიდულობს სიმინდს ნახევარი ფუთობით წელიწადში შვიდი-რვა თვის განმავლობაში და მუდამ მშიერია. მისთვის არ არსებობს რაიმე ნოყიერი და შემრგე შექამადი, მაგრამ მას მხოლოდ სიმინდი მიეცი, რომ მჭადი საკმაო ქონდეს და შექამადს არ დაგიდევს. აქ შექამადის მაგიერობას ხალხს მინდვრის ბალახები და სხვა ასეთები

უწევს, რადგან აქ ბევრგვარ საჭმელს ამზადებენ: დაჭრილა, ტყეპილი, ჭინჭრის და მოლოქას მხალი, გამოხდილი ტყემალი თუ არა და მჭადის კვანწარახზე დაწებითაც იოლად მიდიან. ყოველივე ეს უფასოთ უნდა ქონდეს, რადგანაც ყოველივე მისი შემოსავალი სიმინდის ყიდვას უნდება.

მეტი არ იქნება, რომ მკითხველს გავაცნოთ, თუ რა არის ტყეპილა. ის მზადდება ყოველნაირი მინდვრის ბალახებიდან, რომელსაც მოხარშავენ, შემდეგ გობზე, სანაყი ქვით დანაყავენ და ამ ათქვეფილ მასას გადაასხამენ მოხარშულ და გამოჭყვლეტილ ახალ მკვახე ტყემლის სითხეს და სჭამენ. დაახლოებით იმნაირადვე მომზადებული საჭამადია დაჭრილა, რომელიც საშინლად მჟავეა და მას ვერ შეაჭმევ არამც თუ ევროპიელს, არამედ მას არ მიეკარება გორის მაზრის გლეხიც, რომელიც მჟავე მახოხში ჩაბუჟბუჟებულ პურის ნატეხებს ყოველთვის სიამოვნებით მიირთმევს. ოკრიბის ეკონომიურად გაძვალტყავებული გლეხკაცობა კი იოლად მიდის ასეთი შეჭამადით. მე ხშირად მინახავს ღარიბი ოჯახის წევრები, რომლებიც ჭადს მიაჭმევენ ახალი მკვახე ტყემლის მარილზე დაწებით. აქ გლეხების უმეტესობა სადილს სჭამს, ვახშმად კი რაიმე ხილზე იოლად გადადიან. და აი ამ უბედურებაში არის ზედმიწევნით შრომის მოყვარე ოკრიბის გლეხობა. მაშინ, როდესაც თუ ის კულტურულად მაღლა აიწევდა, აგრონომიული ცოდნა მიეცემოდა და მიწას ევროპიულად დაამუშავებდა, ის სხვა მხარეზე ნაკლებ ეკონომიურ მდგომარეობაში არ იქნებოდა. ასეთ განაწამებ ცხოვრებას რომ გლეხები ეწეოდენ სხვაგან ისინი სულ ერთიანად გაწყდებოდენ, მაგრამ აქ იტანენ ყოველივეს იმიტომ, რომ ოკრიბაში შესანიშვანი ჰაეაა და კარგი წყლები.

ოკრიბაში ქარი არ იცის, არც სეტყვა, აქ არც ყინვებია მაგარი, ასე რომ, აქ ბევრი ტროპიკული ძვირფასი მცენარე ივარგებს, როგორიც არის ჩაი, მანდარინა და რაც შეეხება ძვირფას ხილების ჯიშებს, ის ხომ აქ ყველაზე კარგად იხეირებს. ოკრიბაში ვერ ნახავთ უბრალო ბორცვნარს, რომ ის ბაღად არ გამოდგეს, მხოლოდ ამისათვის საჭიროა ცოდნა. აქ მიწა წითელი და მჩატეა. მაგრამ თუ კი ის გაპოხიერდება ევროპიულად დამზადებული სასუქით, რა თქმა უნდა, საუცხოვო იქნებოდა. რაც უნდა კარგი მიწა გამოძებნო ოკრიბაში აქ ერთი ქცევა მხოლოდ ათ ფუთ სიმინდის მეტს ვერ მისცემს გლეხს. და მან რომ გამოკვებოს ექვსი სულიანი ოჯახი, უნდა ათი ქცევა მიწა დაამუშავოს. და მას—კი ამდენი მიწა არ გააჩნია.

რა თქმა უნდა, იმ მხარის გლეხები, რომლის ერთი ქცევა მიწა ას ფუთს იძლევა, უფრო წელში მაგარია, ის ქათამსაც მეტს გაიჩენს, ღორსაც და სხვა საქონელსაც. ოკრიბის გლეხებს ღორიც კი ძროხასთან და ხართან ერთად ყანის პირში ყავთ მიბმული და იქ უზიდავს ნამარგელ თოხით მოჭრილ ზედმეტ სიმინდს. მისი საქონელი სიმშილისაგან წელში ორად მოხრილი საცოდავად გამოიყურება, ღორი ზაფხულობით იმდენად არის გამხდარი, რომ სათითაოდ დაითვლით ყველა მის ძვლებს.

დიდი ხანია ვიცით, რომ მდგომარეობა შექმნის შეგნებას, მაგრამ მდგომარეობა თუ ღორებშიაც შეგნებას შეიტანდა არ მეგონა, მაგრამ რას არ ნახავ ოკრიბაში. აქ ცარიელ მიწას, სადაც მცენარეულობა აღმოცენდება, ვერ ნახავთ. საბალახოებიც სოფლად იშვიათად მოიპოვება, ამიტომ ღორებს კისერზე ორი საჟენის სიგრძე ულელი აქვთ დადგმული. დადიან და დაეძებენ საჭმელს, ორღობეში.

თუ ღორმა შენიშნა ღობეს იქით მობიბინე სიმინდი, მას პირში ნერწყვი მოდის, თვალები უფართოვდება. უწითლდება და მოსვენებას კარგავს. ხან აგერ შერგავს ღობის ნახვრეტში ცხვირს, ხან კი ეგერ—მაგრამ სარებსა და სარებს შუა ჩაწყობილი ხიმე მას ნებას არ აძლევს შიგ შეძვრეს. ცოტა დაფიქრების შემდეგ, ის ხერხს იგონებს და შეუდგება მის განხორციელებას. ის კბილით დააფრინდება ხიმეს და გამოაძრობს ჯერ ერთს, მერე მეორეს და ასე სანამ კარგა მოზრდილ სარკმელს არ გააკეთებს. შემდეგ სინჯავს გაეტევა თუ არა შიგ, და აი შეამჩნია, რომ ულლის ტაბიკები, რომლებსაც თავი კისერს ზევით აქვს აშვერილი არ უშვებს. ის კვლავ შეუდგება ხიმეების გამოძრობას. ეხლა უკვე ტაბიკები აღარ უშლის, მაგრამ ულლის სიგრძე ორ საჟენამდე რომ ადგია კისერზე, არ უშვებს, რადგან სარები, რომლებშიდაც ხიმე აწყვია ერთ არშინზე არიან ერთმანეთზე დაშორებული. ღორი, ცოტა დაფიქრების შემდეგ მოატრიალებს ულლის ცალ თავს და ჯერ მას გაატარებს სარკმელში და შემდეგ თითონაც როგორც ისარი ისე გადაეშვება ყანაში. ჩვენ კი მაყურებლებმა შევსძახეთ გაუმარჯოს პირუტყვის შეგნებასაც-თქო და დიდხანს უცქეროდით, როგორ მადიანად შეექცეოდა დამშეული პირუტყვი აფქვირებულ ახლად მუხლამოყრილ სიმინდს. გვეცოდებოდა პატრონი, მაგრამ გვეცოდებოდა დამშეული პირუტყვიც და ამიტომ არ ვამჟღავნებდით „ყაჩაღობას“.

მეორე დილას კი პატარა ბიჭი სოფელში დადიოდა და იძახოდა: ღორის ხორცი ვის უნდა ღორის ხორციო... თურმე პატრონს მოესწრო ყანაში მონავარდე ღორისათვის და წალდით დაეჩეხა, როგორც მოძალადე „ყაჩაღი“. მკათათვე იყო და ძვალ-ტყავი ღორის ხორცი აბა რა საჭმელი იქნებოდა, მაგრამ საწყალი გლეხი მასაც დიდის სიამოვნებით შეექცეოდა....

ოკრიბის გლეხკაცობა ღატაკია უკულტურობის და მიწის სივიწროვის მეოხებით. ამ მხარეში მიწის ქვეშა მდიდარე სიმდიდრეებიც ბლომად მოიპოვება: მაგალითად, მთლიანად ოკრიბა ქვანახშირზე ძევს; აქ მოიპოვება მთის სანთელი (გორნი ვოსკ), სპილენძი, რკინა და შაბი, მაგრამ ყოველივე ეს სიმდიდრე ხელშეუხლებლად ძევს მიწის წიაღში....

ვიმეორებ, ოკრიბა სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ასეთ გულგრილობას ამ ბნელი მხარისადმი აწი მაინც მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დროს აღარ ექნება ადგილი.

ცუცხვათში ყოფნის დროს (ოკრიბის ერთი მოზრდილი სოფელი, 400 კომლით) შემომჩივლეს გლეხებმა, რომ გადასახადი ძლიერ უსწორ-მასწორად არის გაწერილი. მაგალითისათვის მიმითითეს ჩემსავე მეზობელზე, ვინმე ვასილ ცირეკიძეზე, რომელიც ავადმყოფი კაცია, ნახევრად ინვალიდი, წვრილი ცოლშვილიანი. მიწა იმდენი აქვს, რომ ძლივს 50 ფ. სიმინდს მისცემს, რაც უნდა კარგი მოსავალი იყოს, ერთი ულელი ხარი და ერთი ძროხა ყავს და მისთვის შეუწერიათ 43 მანეთი და 70 კაპ. მეორე გლეხზე კი, რომელიც გაცილებით უფრო შეძლებულია, ცხრა მანეთი და რაღაც კაპეიკები.

მე წამოსვლისას შევიარე ორპირის თემის აღმასკომში და ეგ საჩივარი მართალი აღმოჩნდა. იქ დამხვდა ქუთაისის აღმასკომის მიერ გამოგზავნილი ამ საჩივრის გამომრკვევი საფინანსო წარმომადგენელი, რომელიც არკვევდა თემის აღმასკომის თავმჯდომარე ბუხაიძესთან ერთად ამ საქმეს და მათაც დაადასტურეს შეცდომა და აღგვითქვა გასწორება.

ჩემის აზრით აჯობებდა, რომ თემს მოსვლოდა ჯამი გადასახადისა და იქ განაწილებულიყო თემის მიერ სოფლად არჩეულ კაცებისაგან, რომლებთაც დაევალებოდა ღატაკების განთავისუფლება და დანარჩენის შესაფერისად გაწერა გადამხდელ გლეხების შეძლებისდაგვარად. სასოფლო კომისიას ეცოდინება გლეხის ავლა-დიდება, მოსული კაცი კი მას ვერ გებულობს სინამდვილეში. ამას თხოულობენ გლეხებიც.

**ლ. კუპრაშვილი.**

**სარედაქციო კოლეგია.**

პოლიგრაფტრესტის მე-ნ-ე სტამბა. კამოს ქუჩა № 68.